ირმა დოლიძე

თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლების სცენოგრაფია გივი ცერაძის ესკიზების ატრიბუციისათვის

საკვანძო სიტყვები: *გივი ცერაძე, თეატრალური ინსტიტუტი, ესკიზები, სცენოგრაფია*

„გივი ცერაძე მე გავიცანი მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში. ის მოვიდა ჩვენთან, თეატრალურ ინსტიტუტში, პირდაპირ სტუდენტური მერხიდან. მოვიდა და მაშინვე დაუახლოვდა კოლექტივს, შეიძინა მეგობრები. არა მგონია, რომ გივი ემზადებოდა თეატრალური კარიერისთვის, უფრო სწორად, მას მუშაობა სურდა, ცხოვრებისთვის ეძებდა სამსახურს და დაიწყო მუშაობა. გივი ცერაძე თანდათან იზრდებოდა და მალე გახდა საინტერესო მხატვარი...

მისი ინტელიგენტურობა, მისი ფაქიზი ბუნება ცოცხლობს მის სურათებში. გივის სურათები სავსეა სინათლის შესანიშნავი გრძნობით, მათში არის ჰაეროვანი სიმსუბუქე, ფერების კაშკაშა გამა და არაფერია მოგონილი, ხელოვნური. მის სურათებში ცხოვრობს მისივე კეთილი სული, უნარი სიცოცხლის დანახვისა“.

ეთერ გუგუშვილი, 1989 წლის 25 იანვარი[1]

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მუზეუმში, რომელიც 2024 წლიდან სასწავლო-სამეცნიერო არქივად გადაკეთდა, დაცულია თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ამსახველი სამ ასეულამდე ესკიზი. მათი უდიდესი ნაწილი 1940-1960-იან წლებშია შესრულებული და XX საუკუნის ცნობილ მხატვრებსა და სცენოგრაფებს ეკუთვნის. მათ შორის არიან: დიმიტრი თავაძე, ირინა შტენბერგი, ბორის ლოკტინი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ალექსანდრა თევზაძე, გივი ცერაძე.

ესკიზების კოლექციაში რაოდენობრივად ყველაზე მეტი მხატვარ გივი (ვასილ) ცერაძის (1931-1987) ნამუშევარია. 1957-1979 წლებში მას ასზე მეტი სპექტაკლი აქვს თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ამჟამად მხატვრის 72 ესკიზია დაცული.

გივი ცერაძის შემოქმედება არ არის შესწავლილი. მხატვრის შესახებ ინფორმაციას უმეტესწილად სხვადასხვა გამოფენის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და კატალოგებში ვხვდებით. მის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები (პირადი დოკუმენტები, პრესაში დაბეჭდილი სტატიები, გამოფენის კატალოგები) დაცულია გივი ცერაძის ქალიშვილის, ქალბატონ ნინო

1 ეთერ გუგუშვილი (1925-2005) - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თეატრალური ინსტიტუტის რექტორი (1973-2005). აღნიშნული დოკუმენტი დაცული მხატვრის ქალიშვილის, ნინო ცერაძის ოჯახში.



გივი ცერაძე მე გავიცანი მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში. ის მოვიდა ჩვენთან, თეატრალურ ინსტიტუტში, პირდაპირ სტუდენტური მერხიდან. მოვიდა და მაშინვე დაუახლოვდა კოლექტივს, შეიძინა მეგობრები. არა მგონია, რომ გივი ემზადებოდა თეატრალური კარიერისათვის, უფრო სწორად, მას მუშაობა სურდა, ცხოვრებისათვის ეძებდა სამსახურს და დაიწყო მუშაობა.

გივი ცერაძე თანდათან იზრდებოდა და მალე გახდა საინტერესო მხატვარი და ღირსეული მოქალაქე. გივის მოქალაქეობრივ თვისებებს განსაზღვრავდნენ ისეთი ცნებებით, როგორიც არის პატიოსნება, პირდაპირობა, უკომპრომისობა, აღალმართობა, ეს ხომ იშვიათი თვისებებია ჩვენს რთულ დროში და შეიძლება მისი შეშურდეს ადამიანს.

დიახ, გივი ცერაძე ასეთი ადამიანი იყო. მას ეყვარდა პირდაპირობა, სიმართლის თქმა, ვერ [illegible] ლაქუცა. მახსოვს, მან ერთხელ რეჟისორს პირდაპირ უთხრა, რომ მისი სპექტაკლი საზიზღრობაა. ასე უთხრა: საზიზღრობაა! ~~ასეთი~~ შეფასება ჩემის აზრით არ იყო სამართლიანი, მაგრამ ეს იყო მისი, გივის აზრი, და აქედან გამომდინარე – მისი სიმართლე. ის ასე ფიქრობდა და არ მალავდა თავის ფიქრებსა და განცდებს.

კიდევ იყო ერთი მსგავსი შემთხვევა. ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიმართ მან თავისი უკმაყოფილება ასე გამოხატა: თხელმა სამეფნე. ასეთი უკიდურესობა გამოწვეული იყო იმით, რომ ვერაფრით ვერ შეეგუა უსამართლობას და თავისი აღშფოთების გამოხატვის სხვა ფორმა ვერ მონახა.

გივი იყო ჩემი ახლო მეგობარი. მან ჩემი ორი პორტრეტი დახატა – ერთი (ბეჭში), რომელიც ჩემთან ინახება, მეორე –დაუმთავრებელი დარჩა. რა თქმა უნდა ჩემი მიზეზით, – არ მქონდა დრო, არ დავდიოდი რეგულარულად სეანსებზე, მერე კი გივი ავად გახდა... მაგრამ არ დამავიწყდება ის საათები სეანსების დროს. რამდენს ვსაუბრობდით ცხოვრებაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. გივი იყო ღრმად განათლებული ადამიანი და უაღრესად საინტერესო მოსაუბრე. მისი ინტელიგენტურობა, მისი ფაქიზი ბუნება ცოცხლობს მის სურათებში. გივის სურათები სავსეა სინათლის შესანიშნავი გრძნობით, მათში არის ჭაღოვანი სიმსუბუქე, ფერების კაშკაშა გამა და არაფერია მოგონილი, ხელოვნური. მის სურათებში ცხოვრობს მისივე კეთილი სული, უნარი სიცოცხლის დანახვისა.

ეთერ გუგუშვილი

25/I-89

ეთერ გუგუშვილი

თეატრალური ინსტიტუტის რექტორი - ეთერ გუგუშვილი გივი ცერაძის შესახებ, 1989. ნინო ცერაძის არქივი.

ჯ. პრისტლის „საუნჯე“, 1958. სპექტაკლის შემდეგ.
სხედან მარცხნიდან: გ. ჟორდანია, გ. ლორთქიფანიძე, ე. გუგუშვილი, დ. ალექსიძე, გ. ცერაძე, გ. სარჩიმელიძე, ტ. გრიგორიანი მონაწილეებთან ერთად.

ვ. ჰიუგოს „ანჟელო“, 1958. სპექტაკლის შემდეგ. სცენაზე დგანან სპექტაკლის რეჟისორი ა. ხორავა, მხატვარი გ. ცერაძე მონაწილეებთან ერთად.

ცერაძის ოჯახში. მათ შორისაა 1962 წელს გივი ცერაძის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია (რუსულ ენაზე). ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის რეკონსტრუქციისთვის, ამიტომ ავტობიოგრაფიის ტექსტი სრულად მოგვაქვს.

„მე, ვასილ (გივი) ნიკოლოზის ძე ცერაძე დავიბადე 1931 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ცხინვალში მოსამსახურის ოჯახში. ეროვნებით ქართველი. 7 წლის ასაკში შევედი ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1948 წელს. 1948-49 წელს წარმატებით დავასრულე ცხინვალის ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი.

1950 წელს ჩავირიცხე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის განყოფილებაზე. სამხატვრო აკადემია დავამთავრე 1956 წელს წარჩინებით. პეიზაჟების სერიისთვის „ჩემი სამშობლო“ მიმიღეს საქართველოს სსრ საბჭოთა მხატვართა კავშირის კანდიდატად.

1956 წელს დავიწყე მხატვარდ მუშაობა „ქართული ფილმის“ კინოსტუდიაში.

1957 წლის მაისში დავიწყე მუშაობა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მხატვარ-დეკორატორად და სადადგმო ნაწილის გამგედ, სადაც ვმუშაობდი 1960 წლამდე.

დაზგური ფერწერისა და გრაფიკის პარალელურად ჩემს მიერ გაფორმებულია ორმოცდახუთზე მეტი თეატრალური წარმოდგენა დადგმული მოსკოვის, თბილისის, ბათუმისა და სოხუმის თეატრებში. ასევე ქ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლესი თეატრალური სასწავლებლების დათვალიერებაზე, კრონინის პიესის მიხედვით დადგმული წარმოდგენისთვის „იუპიტერი იცინის“ დამაჯილდოვეს საპატიო სიგელით. ჩემი საუკეთესო დადგმები, რომლებიც არაერთგზის აღინიშნა პრესისა და თეატრალური საზოგადოების მიერ, შემდეგია:

1. „სეილემის პროცესი“ მილერის
2. „მეექვსე სართული“ ჟერის
3. „მოჩვენებანი“ იბსენის
4. „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის
5. „ძალად ექიმი“ მოლიერის
6. „უმზითვო“ ოსტროვსკის
7. „ეს მოხდა ირკუტსკში“ არბუზოვის
8. „იუპიტერი იცინის“ კრონინის
9. „დრო და კონვეის ოჯახი“ პრისტლის
10. „როცა ასეთი სიყვარულია“ კოჰოუტის
11. „ანა ფრანკის დღიური“ გუდრიჩის და ჰეკეტის

და მრავალი სხვა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მუდმივად ვღებულობ მონაწილეობას ყველა რესპუბლიკურ გამოფენაში. ასევე სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გამოფენაზე 1957 წელს. დეკადის გამოფენაზე ქ. მოსკოვში, 1958 წელს. გამოფენაზე „უცხოეთი ახალგაზრდა მხატვრის თავლით“ მოსკოვში, 1961 წელს. ახალგაზრდული გამოფენა მოსკოვში, 1962 წელს.

პარტიული და საზოგადოებრივი ჯარიმები არ მაქვს.
1945 წლიდან ვარ კომკავშირის წევრი...
1960 წლიდან საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი.
1959 წლიდან საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების წევრი...

ცერაძე ვ.ნ. 5.V.62 წ. ქ. თბილისი“



Автобиография

Я, Василий (Гиви) Николаевич Церодзе, родился 29 декабря 1931 года в гор. Цхинвали Юго-Осетинская авт. область Грузинской ССР в семье рабочего. Национальности грузин. Семи лет поступил в Цхинвальскую 2-ю среднюю школу которую окончил в 1948 г. 1948-49 уч. году окончил Цхинвальский художественный техникум им. Туганова с „Отличием".
В 1950 году зачислен студентом в Тбилисскую Академию художеств на отделение живописи. Академию художеств окончил в 1956 году на „Отл[illegible]", за серию пейзажей „Моя [illegible]", и был принят в кандидаты Союза Советских художников Груз. ССР.
В 1956 г. стал работать художником в киностудии „Грузкинофильм".
В мае месяце 1957 г. поступил в Грузинский Государственный Театральный институт им. Руставели, художником декоратором и зав. постановочной частью где работал до 1960 г.
Помимо станковой живописи и графики мною оформлено более сорока пяти театральных постановок в театрах гор. Москвы, Тбилиси, Батуми и Сухуми.
А также в гор. Москве на смотре театральных ВУЗов. Союза ССР. За что был награжден почетной грамотой за дипломную постановку пьесы Кронина „Юпитер смеется".
Из моих лучших постановок которые неоднократно отмечались прессой и театральной общественностью являются следующие спектакли:
1. „Сальтеский процесс". Милерон.
2. „Шестой этаж". Шерп.
3. „Привидения" Ибсена
4. „Ромео и Джульетта" Шекспира
5. „Лекарь по неволе" Мольера.
6. „Без приданного" Островского.
7. „Иркутская история" Арбузова.
8. „Юпитер смеется" Кронина
9. „Время и семья Конвей" Пристли
10. „Такая любовь" Когда[illegible]
11. „Дневник Анны Франк" Гудрич и Хакет.
И многое другое.
После окончания Тбилисской Академии художеств постоянно принимаю участие на всех республиканских выставках. А также на Всесоюзных выставках студентов Вузов ССР 1957 г. Декадная выставка в гор. Москве 1958 г. Выставка „Зарубежный мир глазами молодых художников" в Москве 1961 года. Молодежная выставка Союза ССР 1962 г. в Москве.
Партийных и общественных взысканий не имею.
С 1945 г. член В.Л.К.С.М.
С 1958 г. член Рабис.
С 1960 г. член Союза Советских художников ССР
С 1959 г. член Театрального общества Груз. ССР
В 1958 г. был избран в народные заседатели р-на им. Калинина гор. Тбилиси.
Церадзе В.Н. 3.V.62 г. г. Тбилиси.

ვივი ცერაძე, ავტობიოგრაფია, 1962. ნინო ცერაძის არქივი.

ავტობიოგრაფიაში ქრონოლოგიურადაა მოცემული ვივი ცერაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი თარიღები და მოვლენები. თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდად მხატვარი უთითებს: „1957 წლის მაისში დავიწყე მუშაობა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მხატვარ-დეკორატორად და სადადგმო ნაწილის გამგედ, სადაც ვმუშაობდი 1960 წლამდე“. უნდა დავაზუსტოთ, რომ მხატვარ-დეკორატორად მხატვარი მუშაობდა 1957-1979 წლების განმავლობაში. როგორც ჩანს, მხოლოდ სადადგმო ნაწილის გამგედ იყო 1960 წლამდე.

ვივი ცერაძით, როგორც მომავალი მხატვრით, დაინტერესება ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება. 1951 წლის გაზეთ „კომუნისტში“ (#275) თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექტორის, მამია დუდუჩავას, სტატიაა „სოციალისტური რეალიზმის გზით“, რომელშიც იმჟამინდელი რექტორი აჯამებს

1950-51 სასწავლო წლის შედეგებს. იგი აფასებს სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა საანგარიშო გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს და გამოყოფს მათ შორის გამორჩეულ სურათებსა და ავტორებს. საზაფხულო პრაქტიკის დროს შესრულებულ ნამუშევრებს შორის III, IV კურსის რამდენიმე სტუდენტის სურათთან ერთად მ. დუდუჩავა აღნიშნავს „გ. ცერაძის (I კურსი, ხელმძღვანელი დოც. კ. გრძელიშვილი)" ეტიუდებსაც. სტატიის ბოლოს, დასკვნის სახით, ავტორი წერს: „...მათი ნამუშევრები ნათელყოფენ, რომ უახლოეს დროში საქართველოს საბჭოთა მხატვრებს ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატების ახალი კადრი შეემატება".

გივი ცერაძე, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ნიჭიერი მხატვარი, სამხატვრო აკადემიის დასრულების დროსაც ფიგურირებს. 1956 წელს გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურსდამთავრებულების შესახებ მოკლე ინფორმაციას აქვეყნებს. მომავალ პროფესიონალ ფერმწერთაგან საგანგებოდაა აღნიშნული მხოლოდ სამი მხატვარი და მათ შორისაა გივი ცერაძის სადიპლომო ნამუშევრებიც. „თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიმართა სადიპლომო ნაშრომთა დაცვა. წელს აკადემია დაამთავრა 41 კაცმა. ბევრი მათგანის ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო. მათ შორის არის ვ. ცერაძის სამი მთის პეიზაჟი, რ. თურქიას ტილო „შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე ბექა ოპიზარის სახელოსნოში", დიპლომანტ გ. მაისურაძის ნაშრომი - „მხატვარ ცინდელიანის პორტრეტი".[2] გივი ცერაძის სადიპლომო ნამუშევარი „ჩემი სამშობლო" (პეიზაჟების სერია) ექსპონირებული იყო მოსკოვში.[3]

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957.

2 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი, 14.07. 1956.
3 http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00011092/

ამდენად, სრულიად ახალგაზრდა მხატვარი, რომელმაც 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, 1957 წელს თეატრალურ ინსტიტუტში აფორმებს თავის პირველ სპექტაკლს ს. ევლახოვის „ჯარისკაცის გული“ (პრემიერა: 24/06. 1957. რეჟ. აკ. ხორავა). აქედან მოყოლებული 22 წლის განმავლობაში გივი ცერაძე ინსტიტუტის მხატვარ-დეკორატორია.

ნინო ცერაძის (გივი ცერაძის ქალიშვილი) ოჯახში დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის საინფორმაციო კითხვარი (Сведения), რომელიც მხატვრის მიერ 1969 წელსაა შევსებული (როგორც ოფიციალური დოკუმენტების უმრავლესობა იმ დროისათვის, ეს კითხვარიც რუსულ ენაზეა). კითხვაზე: „თქვენი პირველი გამოსვლა სცენაზე (მსახიობის), პირველი დადგმა (რეჟისორის), პირველი დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები (დრამატურგის ან კომპოზიტორის), პირველი დეკორაცია (მხატვრის). როდის, სად, რა კონკრეტულად და ვისი ხელმძღვანელობით“: გივი ცერაძეს მითითებული აქვს: „შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. სპექტაკლის „ჯარისკაცის გული“ მხატვრული გაფორმება. რეჟისორი სსრკ-ს სახალხო არტისტი, პროფ. ა.ა. ხორავა.“ უნივერსიტეტში დაცული ამ წარმოდგენის პროგრამა გვაუწყებს, რომ ეს სამსახიობო ფაკულტეტის აფხაზური განყოფილების საკურსო სპექტაკლია. აკაკი ხორავას ასისტენტები კი არიან: შალვა გაწერელია და გიზო ჟორდანია. სამწუხაროდ, არ შემორჩენილა მხატვრის მიერ სპექტაკლისთვის შესრულებული ესკიზები.

უნივერსტეტში ინახება თეატრალურ ინსტიტუტში გივი ცერაძის მიერ გაფორმებული სამი ათეული სპექტაკლისთვის შექმნილი ესკიზები. მათი უმეტესობა 1958-1960 წლებშია შესრულებული. ეს სპექტაკლებია:

გივი ცერაძე, გიზო ჟორდანია და გივი სარჩიმელიძე
ფოტო ნინო ცერაძის არქივიდან.

ა. ცაგარელის „ციმბირელი“ (პრემერა: 17/01. 1958. რეჟ. ა. ხორავა), სამსახიობო ფაკულტეტის აფხაზური ჯგუფის IV კურსის პირველი სადიპლომო სპექტაკლი. შემორჩენილია დეკორაციის მხოლოდ ერთი ესკიზი და წარმოდგენის ამსახველი ფოტოალბომი მონაწილეთა პორტრეტებით, სცენებით სპექტაკლიდან და წარმოდგენის დასრულების შემდეგ გადაღებული ჯგუფური ფოტოებით, სადაც მონაწილე სტუდენტთა გვერდით, ვხედავთ აკაკი ხორავას, იმდროინდელი თეატრალური ინსტიტუტის რექტორს - ილია თავაძეს, დიმიტრი ალექსიძეს, სპექტაკლის მხატვარს - გივი ცერაძეს, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელებსა და სტუდენტებს. ერთ-ერთ ფოტოზე ასახულია რეპეტიციის ეპიზოდი აკაკი ხორავას მონაწილეობით და იგივე სცენა შემდეგ უკვე სტუდენტის შესრულებით. სწორედ ეს იყო პირველი აფხაზური ჯგუფი, რომელიც თეატრალურმა ინსტიტუტმა 1959 წელს გამოუშვა.[4] „ციმბირელი“, თეატრალური ინსტიტუტის გარდა, წარმოდგენილი იყო სოხუმში, ოჩამჩირესა და გუდაუთაში. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა პრესაც. „ამ დღეებში სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის აფხაზური სექციის სტუდენტებმა აჩვენეს ა. ცაგარელის პიესა „ციმბირელი“, რომელიც აფხაზურ ენაზე თარგმნა მ. ზუხბამ... სტუდენტებმა წარმოდგენები გამართეს ავრეთვე ოჩამჩირესა და გუდაუთში“.[5]

უნივერსიტეტში დაცული ესკიზი სპექტაკლისთვის „ციმბირელი“ გივი ცერაძის ერთ-ერთი ადრეული სცენოგრაფიული ნამუშევარია. შესრულებულია 1957 წელს. ინტერიერის ამსახველ ესკიზში სასცენო მოქმედებისთვის შექმნილი გარემო მონოქრომულ ტონებშია გადაწყვეტილი. კომპოზიციურად ჩაკეტილი სასცენო მოედანი, ღიობებს მიღმა ნაგულისხმევი სივრცით და მაყურებლისკენ ფრონტალურად გაშლილი ყოფის ატრიბუტებით (მაგიდა, სკამი, კომოდი, ტახტი და ა.შ.), ერთი მხრივ, სინამდვილის ამსახველი, მეორე მხრივ კი, პირობითი თეატრალური გარემოა. ამ ესკიზში ვხედავთ რეალისტურ და ფერწერულ მიდგომათა ერთგვარ ნაზავს, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანების მხატვრულ ტენდენციათა სპექტრშიც ექცევა და, ამავდროულად, მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის ჩამოყალიბებაზეც მეტყველებს.

მოლიერის „ძალად ექიმი“ (პრემიერა - 10,11/03. 1958. რეჟ. კ. პატარიძე), სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლია. შემორჩენილია დეკორაციის რამდენიმე ესკიზი. ერთი მათგანი მხატვრის ხელმოწერით და თარიღითაა - 1958 წ. შესრულებულია მსუყე, თავისუფალი მონასმებით, წინა პლანზე ჟღერად წითელ ტონებში გადმოცემული მასიური ფარდით, რომელიც ხსნის და, ამავდროულად, ასრულებს სამოქმედო სივრცე-არეალს. ეს დინამიზმით, ემოციებით გაჯერებული თეატრალური სივრცეა. იმდენად კარგად გრძნობს მხატვარი სცენას, მის მასშტაბსა და სივრცის მხატვრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობას, რომ რთულად დასაჯერებელია, ამ ესკიზის ავტორი ახალბედა სცენოგრაფი იყოს.

4 თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი, #3 (22), 2005, გვ. 46.
5 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 01.03. 1953.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის ა. ცაგარელის „ციმბირელი“, 1958.
ქაღ., გუაში, 22 x 46 სმ.



გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის მოლიერის „ძალად ექიმი“, 1958.
ქაღ., გუაში, 40,5 X62,5 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის მოლიერის „ძალად ექიმი“, 1958. ქაღ., გუაში, 1) 39 X 50 სმ, 2) 28 X 40 სმ.

მოლიერის „ძალად ექიმი“, 1958. რეჟისორი კ. პატარიძე, მხატვარი გ. ცერაძე, სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი.

წარმოდგენის ამსახველი ფოტოალბომი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არაიდენტიფიცირებული ესკიზების ატრიბუცია. სწორედ ამ ფოტომასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება განვსაზღვროთ, რომ სპექტაკლისთვის „ძალად ექიმი“ გივი ცერაძეს შესრულებული აქვს სამი მოქმედებისა და ფინალური სცენისთვის გამიზნული რამდენიმე ესკიზი.

ეს ესკიზები ნათელყოფს ახალგაზრდა ნიჭიერი სცენოგრაფის თეატრალურ ალღოს, თავისუფალ შემოქმედებით მიდგომასა და სასცენო გარემოს ფერწერულ გააზრებას. სპექტაკლის პროგრამაში ვეცნობით მონაწილე სტუდენტთა ვინაობასაც. მათ შორისაა მომავალში ცნობილი არტისტი, კახი კავსაძე.

მოლიერის „ძალად ექიმი“ გივი ცერაძის ავტობიოგრაფიაში საუკეთესო სპექტაკლების ჩამონათვალშია. ისევე როგორც ამავე პერიოდში გაფორმებული ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“.

სპექტაკლისთვის ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“ (პრემიერა: 4,5,6/03.1958. რეჟ. ა. მიქელაძე) შესრულებული ესკიზებიდან უნივერსიტეტში დაცულია კოსტიუმის სამი ესკიზი, რომლებიც ასოციაციურად იმდროინდელ მოდის ჟურნალებს მოგვაგონებს. ეს არის გლედისის (გლედის ბრეგი) და მერეის (მერი მერეის) აკვარელში შესრულებული ესკიზები, სადაც პოზითა და მოძრაობითაა გადმოცემული ტიპაჟის საერთო ხასიათი. ერთ ტონში გადაწყვეტილი სილუეტური სამოსი სამივე შემთხვევაში კონტრასტული ფერის დეტალითა თუ აქსესუარითაა გააქტიურებული. „...იმხანად ეს უკვე არ იყო ერთეული შემთხვევა და ესკიზები კოსტიუმებისთვის სულ უფრო ემსგავსებოდა იმავე პერიოდის მოდების ჟურნალების ფურცლებიდან „მომზირალ“ სამოსს. განსაკუთრებით იმ დადგმებში, სადაც სიუჟეტურად თანამედროვეობის ამსახველი მოვლენები თამაშდებოდა“.[6]

ამ შემთხვევაშიც ტიპაჟების მნიშვნელოვნება მეორე პლანზე ინაცვლებს და უმთავრესი აქცენტი კოსტიუმებზე კეთდება.

1958 წელს, უმაღლესი თეატრალური სასწავლებლების სადიპლომო სპექტაკლების საკავშირო (იგულისხმება საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკის მასშტაბით) დათვალიერებაზე, ქ. მოსკოვში, მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტიც. დათვალიერებაზე წარმოდგენილი იყო სპექტაკლები: ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“ და ა. ცაგარელის „ციმბირელი“. „ორივე წარმოდგენა გემოვნებით გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა გივი ცერაძემ. ნაწყვეტები სპექტაკლებიდან დემოსტრირებული იყო ტელევიზიითაც“.[7] ავტობიოგრაფიაში კი მხატვარი აღნიშნავს, რომ სპექტაკლისთვის „იუპიტერი იცინის“ ის საპატიო სიგელითაც დააჯილდოვეს.

„დამტკიცდეს. მხოლოდ მეორე მოქმედება გადაკეთდეს. სურათი უნდა გადაწყდეს ვერტიკალში. დეკორაციები შესრულდეს ზუსტად... ესკიზების მიხედვით... ფერწერის მანერაში. დ. ალექსიძე 19 30/IV 58“ - ასეთი მინაწერი აქვს სპექტაკლი-

6 ბელაშვილი თ., XX საუკუნის II ნახევრის ქართული სცენოგრაფიის მხატვრული მახასიათებლები რუსთაველის თეატრის დადგმების მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000, თბ., 2019, გვ.15.

7 გაზ. „Вечерний Тбилиси“, 28.04.1958.

გ. ცერაძე, კოსტიუმის ესკიზები სპექტაკლისთვის ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“, 1958. ქაღ., აკვარელი, 29 X 20 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“, 1958. ქაღ., გუაში, 29 X 43 სმ.

მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“, 1958. რეჟისორი ა. თავზარაშვილი, მხატვარი გ. ცერაძე, სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სადიპლომო სპექტაკლი.

სათვის მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“ (პრემიერა: 15,16/06. 1958. რეჟ. ა. თავზარაშვილი) შესრულებული სამი ესკიზიდან ერთ-ერთს. მართლაც, გ. ცერაძის მიერ წარმოდგენისთვის მსუყე, თავისუფალ ფერწერულ მანერაში შესრულებული ინტერიერი დინამიზმით აღსავსე ტრანსფორმირებადი გარემოა. ფერწერულობის წინ წამოწევა გ. ცერაძის ესკიზებში საერთო ტენდენციის კონტექსტშიც შეიძლება მოვიაზროთ. „უსახელო ვარსკვლავის“ ესკიზები სტილისტურად უკავშირდება „ციმბირელის“ ესკიზს - კომპოზიციური გადაწყვეტით, კოლორიტით. თუმცა გაზრდილია ფერწერულობით ხაზგასმული დინამიზმი. ეს კი უფრო ცოცხალს, ბუნებრივსა და ემოციურს ხდის არა მხოლოდ კოლორიტს, არამედ მთლიანად სასცენო გარემოს. სპექტაკლის ამსახველი ფოტოები ნათელყოფს, რომ სწორედ აღნიშნული ესკიზების მიხედვით დაიდგა სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის ეს სადიპლომო სპექტაკლი და მხატვარმა შეძლო პიესის გმირთა წარმოჩენისთვის აუცილებელი ატმოსფეროს შექმნა.

ამავე სტილისტურ-მხატვრულ ნიშნებს ატარებს 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იან წლებში გაფორმებული სპექტაკლების ესკიზები: მ. გორკის „მზის შვილები“, რომელიც რამდენჯერმე დაიდგა: 1950 წელს (სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრში, რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვარი ბ. ლოკტინი). 1958 წელს (სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის მეორე სადიპლომო სპექტაკლი, რეჟისორი ა. გამსახურდია. მხატვრები: ბ. ლოკტინი და გ. ცერაძე) და 1969 წელს (სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი. რეჟისორი ა. მიქელაძე, მხატვარი გ. ცერაძე).

1958 წელს დადგმული სადიპლომო სპექტაკლის ესკიზებიდან მუზეუმში დაცულია დეკორაციის ორი და ტიპაჟის სამი ესკიზი (ლიზას, ელენესა და ვაგინის პორტრეტები), ასევე, წარმოდგენის ამსახველი ფოტოალბომი. პროგრამაში ორი მხატვარია მითითებული: ბ. ლოკტინი და გ. ცერაძე. ბორის ლოკტინი ამ დროისთვის საქართველოში აღარ არის, 1950 წლიდან ის ვლადივოსტოკში გადავიდა. მიუხედავად ამისა, მხატვარი კვლავ აგრძელებს თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლების სცენოგრაფიაზე მუშაობას და ამის დასტურია გ. ცერაძესთან ერთად 1958 წელს გაფორმებული მ. გორკის „მზის შვილები“.

სპექტაკლისთვის ვ. ჰიუგოს „ანჟელო“ (პრემიერა: 19,20/ 11. 1958. რეჟ. ა. ხორავა), გ. ცერაძის მიერ შესრულებულ სამ ესკიზთან ერთად, უნივერსტეტში დაცულია წარმოდგენის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც სრულიად განსხვავებულ სცენოგრაფიას გვთავაზობს. თავად ესკიზების უკანა სიბრტყეზე საინტერესო ანოტაციას ვეცნობით: „ანჟელო, ერთ-ერთი ვარიანტი წარმოდგენილი მხატვრის მიერ. სპექტაკლი ამ ესკიზებით არ გაფორმებულა. მხატვარმა წაიღო მის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი ვარიანტი 4 დეკორაციის ესკიზი და 2 ტიპაჟის. სანაცვლოდ მოიტანა 3 ესკიზი დეკორაციის. ე. დავითაია. 8/I 59 წ.“. შავ-თეთრ ფოტოებზე სპექატკლის სცენოგრაფია ფრაგმენტულად იკითხება, მაგრამ სხვაობა ნათელია.

„ანჟელოს“ ერთი ესკიზი, მხატვრის სხვა ესკიზებთან ერთად, დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში. ყველა ესკიზი

დინამიკურ სასცენო გარემოს წარმოაჩენს, რაც მიღწეულია არა მხოლოდ მონუმენტურად გადაწყვეტილი ინტერიერებით, არამედ ფერთა კონტრასტებით და მათ შორის წითელი ფერის ემოციური აქცენტირებით. ხელოვნების სასახლეში დაცულ ესკიზზე ნაჩვენებია სასახლის ინტერიერის მცირე ნაწილი - მარჯვენა მხრიდან შემოჭრილი მასიური კიბის რამდენიმე მარშით, დიდი სვეტებით, იატაკის უზარმაზარი ჭადრაკისებურად განლაგებული ფილებით, ერთი საწოლით, სკამითა და ფართოდ დრაპირებული წითელი ფარდით. სივრცის ორგანიზება ფერადოვანი, ფართო ლაქებისა და ,,მოულოდნელად", თითქოს ხედვის სხვადასხვა წერტილიდან დანახული, არქიტექტურული ფორმების ურთიერთკავშირით მხატვრული გაფორმების ახალ ტენდენციაზე მეტყველებს. ერთი შეხედვით მწირი დეკორაციები, ფორმათა მონუმენტურობა, მსუყე კოლორიტი, სასცენო სივრცის ხასიათი - ოთხივე ესკიზის მახასიათებელია. სავარაუდოდ, ხელოვნების სასახლეში დაცული ესკიზიც ერთ-ერთი ვარიანტია, რის საფუძველსაც მისი სპექტაკლის ფოტოებთან შედარება გვაფიქრებინებს.

,,ანჟელო" სამსახიობო ფაკულტეტის აფხაზური ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლი იყო. წარმოდგენა აფხაზურ ენაზე მიდიოდა. ზოგადად, თეატრალურ ინსტიტუტში არა მარტო საქართველოს სხვადასხვა თეატრისთვის. არამედ მის ფარგლებს გარეთ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების თეატრებისთვის კადრების მომზადება მიღებული პრაქტიკა და ტრადიციაც იყო, რომელიც ჯერ კიდევ 1920-30-იან წლებიდან იღებს სათავეს. მაშინაც კი, როდესაც 1926 წელს სათეატრო ინსტიტუტმა შეწყვიტა არსებობა და 1939 წლამდე, ვიდრე აღდგებოდა, რუსთაველის თეატრთან არსებულმა სტუდიამ 1927-1939 წლების განმავლობაში გამოუშვა 157 ახალგაზრდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის თეატრისთვის.[8]

ჯ. პრისტლის ,,საუნჯე" თეატრალურ ინსტიტუტში 1958 წელს დაიდგა (პრემიერა: 21, 22, 23/12. 1958. რეჟ. გ. ლორთქიფანიძე). უნივერსიტეტში სპექტაკლის ორი ესკიზია დაცული. ერთზე - ოთხი სცენაა გაერთიანებული, სავარაუდოდ, ეს სამუშაო ვერსიაა, ვინაიდან ოთხიდან ერთ-ერთ სცენას უკვე სრულფასოვანი ესკიზის სახე აქვს და ხელმოწერილია გ. ცერაძის მიერ. სპექტაკლი სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო ნამუშევარია. ნათელი, ჟღერადი ფერები, პირობითი გარემო, მასშტაბი, წარმოდგენას გვიქმნის სპექტაკლის საერთო ხასიათზე.

მუზეუმში დაცული მდიდარი ფოტოკოლექცია ესკიზებთან, სპექტაკლების პროგრამებთან, რეპერტუართან და სხვა სახის მასალასთან ერთად, ინსტიტუტის სასწავლო სპექტაკლების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას ქმნის. არის სპექტაკლები, რომელთა შესახებაც მხოლოდ ფოტოებით ვიქმნით წარმოდგენას. ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლია ალფრედ ჟერის ,,მეექვსე სართული", დამდგმელი მ. თუმანიშვილი, მხატვარი გ. ცერაძე (პრემიერა: 3.4.5 / 03. 1958). ფოტოებზე ასახულია წარმოდგენის მზადების პროცესი - მუშაობა მაგიდასთან, რეპეტიციები სცენაზე,

8 ღონღაძე ლ., საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 1923-2023, თეატრალური 100, 2023, გვ. 30.

ბ. ლოქტინი, გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის
მ. გორკის „მზის შვილები“, 1958. ქაღ., გუაში. 27 X 35 სმ.





ბ. ლოქტინი, გ. ცერაძე, მ. გორკის ,,მზის შვილები‘‘, 1958.
ქაღ., ფანქარი, აკვარელი. 30 X 21 სმ.





ლიზა - ზ. ლებანიძე ვაგინი - ნ. ჯუღელი ელენე - თ. ბერიძე

მ. გორკის ,,მზის შვილები‘‘, 1958. რეჟისორი ა. გამსახურდია, მხატვარები: ბ. ლოკტინი, გ. ცერაძე, სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სადიპლომო სპექტაკლი.





გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის
ვ. ჰიუგოს „ანჟელო“, 1958. ქაღ., გუაში, 24 X 38 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის
ჯ. პრისტლის „საუნჯე", 1958. ქაღ., გუაში, 30 X 40 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის
ა. ჩეხოვის „დათვი", 1959. ქაღ., გუაში, 25 X 34 სმ.

ეპიზოდები სპექტაკლიდან. „მეექვსე სართული“ წარმატებული გამოდგა. პრესა მაღალ შეფასებას აძლევს წარმოდგენას. სტუდენტ მსახიობთა თამაშის პარალელურად, ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს დამდგმელი რეჟისორის, მხატვრისა და კომპოზიტორის წვლილს. „სიყვარულით, მონდომებით უმუშავია მ. თუმანიშვილს სტუდენტებთან. მათაც გაუმართლეს რეჟისორს... კარგად გამოუყენებია სცენა და სცენის გარე ფართობი მხატვარ გ. ცერაძეს, უფრო ამშვენებს და თითქოს ღამის რომანტიკა შემოაქვს სპექტაკლში ზ. ხელაიას და შ. ნიკიტინის მუსიკალურ გაფორმებას... ყველაზე მეტად ის ფაქტია სასიხარულო, რომ „მეექვსე სართული“ არ გამოვიდა მხოლოდ ინსტიტუტის მასშტაბის სპექტაკლი (ასეთი შემთხვევა იშვიათია თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში). სწორედ ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ფართო საზოგადოებრიობას მიეცემოდა მისი ნახვის საშუალება (ეს იყო ინსტიტუტის პრაქტიკაში). ამით სტუდენტებიც უფრო წახალისდებოდნენ“.[9]

ერთი ესკიზია დაცული სპექტაკლისა ა. ჩეხოვის „დათვი“ (პრემიერა: 26/I 1959. რეჟ. აკ. ფაღავა), სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო ნამუშევარი. წარმოდგენა დაიდგა როგორც ოსური ჯგუფისთვის ოსურ ენაზე, ასევე, აფხაზური ჯგუფისთვის აფხაზურ ენაზე. პრემიერაც ერთ დღეს შედგა. ამავე პრინციპით განხორციელდა ა. წერეთლის „ბუტიაობა“ (პრემიერა: 15/ 05. 1959. რეჟ. ა. ფაღავა); სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის აფხაზური და ოსური ჯგუფის საკურსო სპექტაკლი. მ. გორკის „მოხუცი“ (პრემიერა: 1,2 / 07. 1959. რეჟ. კ. პატარიძე); სპექტაკლის ორი ესკიზიდან ერთი დეკორაციის, მეორე კი ტიპაჟების ამსახველია. ა. ფრანსის „მუნჯი ცოლი“ (პრემიერა: 16/ 12. 1959. რეჟ. ა. ფაღავა), ასევე, ოსური ჯგუფის პირველი სადიპლომო სპექტაკლი იყო. ერთ ესკიზზე ოთხი სცენაა, გარშემო ფანქრით შესრულებული ჩანახატებით. ესკიზის ქვედა ნაწილზე წარწერაა რუსულად: А. Франс „Немая жена“. დ. ალექსიძის ავტოგრაფით და თარიღით 19 2/X 59 წ. ამ ესკიზებში ისევე, როგორც სამსახიობო ფაკულტეტის აფხაზური ჯგუფის სპექტაკლისთვის პ. კალდერონის „სიყვარულს არ ეხუმრებიან“ (პრემიერა: 30,31/V. 1960. რეჟ. გ. ღვინიაშვილი) შექმნილ ესკიზებში, ძირითადი სტრუქტურულ-კომპოზიციური, სივრცითი და ფერადოვანი გადაწყვეტის საერთო კონცეფციებია მოცემული.

ა. არბუზოვის „სახლი ქალაქის განაპირას“ (პრემიერა: 20,22.01.1959) სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის (მიხეილ თუმანიშვილის კლასი) მეორე სადიპლომო სპექტაკლი. დადგმა ლილი იოსელიანის, მხატვარი გივი ცერაძე. „პიესის დამდგმელს, რეჟისორ ლილი იოსელიანს დიდი სითბო, მონდომება და უნარი ჩაუქსოვია სტუდენტთა პირველი დამოუკიდებელი ნაშრომის განხორციელებაში. მოხდენილად აქვს გადმოცემული პატარა სახლის ლამაზი დეკორაციული სურათი მხატვარ გივი ცერაძეს. ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხეკურსელთა სადიპლომო დადგმა მოწმობს ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებით ზრდას“.[10]

9 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, #22, 1958.
10 გაზ. „თბილისი“, 26. 01. 1959.

ვ. როზოვის „სიხარულის ძიებაში“ (პრემიერა: 29-30/05. 1959) სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი, დადგმა ა. მიქელაძის, მხატვარი გ. ცერაძე. შემორჩენილია სპექტაკლის ერთი ესკიზი. მუზეუმში დაცული წარმოდგენის ამსახველი ფოტოალბომი ცხადყოფს, რომ სპექტაკლი დეკორაციის ესკიზის მიხედვითაა განხორციელებული. საერთო გადაწყვეტით ის სპექტაკლებისთვის „ციმბირელი“ და „უსახელო ვარსკვლავი“ შესრულებულ ესკიზებს მოგვაგონებს.

1959 წელს გივი ცერაძე ერთდროულად მუშაობს რამდენიმე სადიპლომო სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე. ესენია: ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“ (პრემიერა: 27,28 /06.1959). სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის მეორე სადიპლომო სპექტაკლი, დადგმა მ. თუმანიშვილის. რეჟისორის ასისტენტი სარეჟისორო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი - რობერტ სტურუა. მხატვარი გ. ცერაძე; ჯ. პრისტრის „დრო და კონვეის ოჯახი“ (პრემიერა: 6-8/12. 1959). სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო სპექტაკლი, დადგმა ლ. იოსელიანის. მხატვარი გ. ცერაძე; ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ (პრემიერა: 30 /12. 1959). სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო სპექტაკლი. დადგმა გ. ღვინიაშვილის, მხატვარი გ. ცერაძე. წარმოდგენა მიდიოდა აფხაზურ ენაზე. სპექტაკლები „მოჩვენებანი“ და „დრო და კონვეის ოჯახი“ მხატვრის ავტობიოგრაფიაში მის საუკეთესო სცენოგრაფიულ ნამუშევრებს შორისაა დასახელებული. სამწუხაროდ, არცერთი ამ წარმოდგენის ესკიზი უნივერსიტეტში არ ინახება.

„1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ სცენოგრაფიაში გარდატეხა დაიწყო. სცენოგრაფები სულ უფრო მეტად ისწრაფვიან ადრეული პერიოდის მხატვრული პრინციპების ახლებური გააზრებისკენ. ფორმისეული საწყისი სცენოგრაფიაში კვლავ მხატვრულ იდეას დაემორჩილა. დეკორაციების ფერწერული დამუშავება და დაზგურობა თანდათანობით ადგილს უთმობს ეტიუდურობას სცენოგრაფიაში, რამაც უფრო ცოცხალი და ბუნებრივი გახადა მხატვრობის კოლორიტი. მნიშვნელოვანია, რომ ახლებური ხედვა თეატრალურ მხატვრობაში ამავე პერიოდში სახვით ხელოვნებაში და დაზგურ მხატვრობაში მიმდინარე პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა. სცენოგრაფიის ახლებური გააზრება სპექტაკლის მხატვრული სახის შექმნაში ი. სუმბათაშვილის, დ. თავაძის, ფ. ლაპიაშვილის და უფროსი თაობის სხვა მხატვრებისგან დაიწყო“.[11] ეს მხატვრული ტენდენციები გივი ცერაძის ესკიზებშიც იჩენს თავს და უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს მომდევნო პერიოდის ნამუშევრებში.

1960-იანი წლები უაღესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდია გივი ცერაძის შემოქმედებაში. სცენოგრაფიის პარალელურად ის ინტენსიურად მუშაობს როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი. მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში, მართავს პერსონალურ გამოფენებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ძალზე აქტიურია აღნიშნულ პერიოდში მისი შემოქმედებითი საქმიანობა თეატრალურ ინსტიტუტშიც. გივი ცერაძის აქ ათეულობით სპექტაკლი აქვს გაფორმებული. მათ შორისაა:

11 კიკვაძე ხ., ტრადიცია და ნოვატორობა ქართულ სცენოგრაფიაში, თბ., 2012, გვ. 36-37.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის
ა. წერეთელის „ბუტიაობა“, 1959. ქაღ., გუაში, 21 X 31 სმ.

გ. ცერაძე. დეკორაციის ესკიზი და ტიპაჟები სპექტაკლისთვის
მ. გორკის „მოხუცი“, 1959. ქაღ., გუაში. 1) 20 X 32 სმ, 2) 30 X 42 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის
ა. ფრანსის „მუნჯი ცოლი“, 1959. ქაღ., ტუში, გუაში, 31 X 42,5 სმ.



გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის პ. კალდერონის „სიყვარულს არ ეხუმრებიან“, 1960. ქაღ., აკვარელი, 1) 30,5 X 18 სმ, 2) 30,5 X 22 სმ.

გ. ცერაძე. დეკორაციის ესკიზები
სპექტაკლისთვის ა. არბუზოვის „სახლი
ქალაქის განაპირას“, 1959.
ქაღ., გუაში,
1), 2) 28,5X38 სმ, 3) 29X38, 5 სმ,
4) 29X40 სმ, 5) 53X41 სმ, 6) 24X36,5 სმ.

გ. ცერაძე. დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის ვ. როზოვის „სიხარულის ძიებაში“, 1959. ქაღ., გუაში, 31 X 47 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის მერიმეს „სამოთხე და ჯოჯოხეთი“, 1960. ქაღ., გუაში, 21,5 X 30 სმ.

ა. მილერის „სეილემის პროცესი“ (პრემიერა: 18,19,20 / 01, 23/ 02. 1960. რეჟ. ა. მიქელაძე). სპექტაკლის ოთხი მოქმედებისთვის მხატვარს 6 სურათის ესკიზი აქვს გაკეთებული. ისინი განაწილებულია ოთხ და ორსურათიან კომპოზიციებად (ორივე ესკიზს მინაწერი აქვს რუსულად: „ვამტკიცებ დ. ალექსიძე. 19 2/XI 59“.). ყველა დეკორაციის ესკიზია და განსხვავდება წინარე პერიოდის ნიმუშებისგან, შესრულებულია ყავისფერ და თეთრ-მოვერცხლისფრო ტონებში, დეკორაციები სცენის სიღრმეშია შეწეული, რითაც სასცენო სივრცის მასშტაბია გაზრდილი, ისინი მონუმენტური არქიტექტურის ფორმათა ვარიაციებს წარმოადგენს. მკაცრ, დინამიურ, ზეაწეულ განწყობა-შთაბეჭდილებას აძლიერებს დეკორაციათა სხვადასხვა ხედვის წერტილიდან ჩვენება. სპექტაკლის კოლორიტსა და განათების კონცეფციაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ხელოვნების სასახლეში დაცული ამავე სპექტაკლის სამი ესკიზი. მონოქრომული ტონების ნაცვლად, აქ იასამნისფერ, ლურჯ, ყვითელ ფერებში გადაწყვეტილ იმავე სასცენო გარემოს ვხედავთ, რასაც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ესკიზებში.

პ. მერიმეს „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ (პრემიერა: 10/04. 1960). სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის მეორე სადიპლომო სპექტაკლი. დადგმა აკ. ფაღავასი, მხატვარი გ. ცერაძე.

ა. ჩეხოვის „თოლია“ (პრემიერა: 21, 22, 23 / 04. 1960) სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი, დადგმა ა. თავზარაშვილის, მხატვარი გ. ცერაძე.

ა. არბუზოვის „ეს მოხდა ირკუტსკში“ (პრემიერა: 17,18 /04.1962). სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი, დადგმა ლ. მირცხულავასი, მხატვარი გ. ცერაძე.

ე. სკრიბის „ჭიქა წყალი“ (პრემიერა: 11-12/06. 1960) სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის (დიმიტრი ალექსიძის კლასი) მეორე სადიპლომო სპექტაკლი. დადგმა დ. ალექსიძის, მხატვარი გ. ცერაძე. რეჟისორის ასისტენტი გ. ჟორდანია.

სპექტაკლისათვის ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“ (პრემიერა: 30/ 06. 1960. რეჟ. აკ. ვასაძე) გ. ცერაძე მისთვის ტრადიციულ ხერხს მიმართავს - ერთ სასურათე სიბრტყეზე სხვადასხვა სცენის ამსახველი ხუთი ესკიზია მოცემული, ასევე, იმავე სცენების ამსახველი ოთხი დამოუკიდებელი ესკიზი. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც რამდენიმე ესკიზის ერთ სიბრტყეზე გაერთიანებით თითქოს საერთო მხატვრული გადაწყვეტის ერთიანი სურათი იქმნება, რომელიც დამოუკიდებელ ესკიზებზე უფრო კონკრეტდება და ზუსტდება.

ა. შიუკაშვილის „სულელი“ (პრემიერა: 15,16/12. 1960. რეჟ. აკ. ხორავა), სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო სპექტაკლი. მასში მონაწილეობდნენ ამავე ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები დაღესტნელთა ჯგუფიდან. სპექტაკლის ფოტოებს შორისაა აკ. ხორავა წარმოდგენის მონაწილე დიპლომანტ და პირველკურსელ სტუდენტებთან ერთად.

ა. პუშკინის „ქვის სტუმარი“ (პრემიერა: 27, 29 / 03. 1961. სარეჟისორო ფაკულტეტის V კურსის (მიხეილ თუმანიშვილის კლასი) სტუდენტის თეიმურაზ აბაშიძის საკურსო სპექტაკლი. მხატვარი გ. ცერაძე, კომპოზიტორი ლ. შავერზაშვილი (კონსერვატორიის სტუდენტი). „ქვის სტუმარის“ ერთი ესკიზი დაცულია ნინო ცე-

რაძის პირად კოლექციაში. უნივერსიტეტში სპექტაკლის მხოლოდ ფოტოალბომი და პროგრამაა. ფოტოებით დასტურდება, რომ „ქვის სტუმარი“ სწორედ ზემოაღნიშნული ესკიზის მიხედვით განხორციელდა. სპექტაკლი ფართო საზოგადოებასაც წარუდგინეს. „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია: ქალაქის თეატრალურ საზოგადოებას აჩვენოს სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტების სტუდენტებისა და დიპლომანტების საკურსო და საგამოცდო ნამუშევრები. ცოტა ხნის წინ ინსტიტუტის პატარა სცენაზე ნაჩვენები იყო პუშკინის „ქვის სტუმარი“ - სარეჟისორო ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის თ. აბაშიძის საკურსო ნამუშევარი, რომელიც მხატვრულად საინტერესოდ გააფორმა ახალგაზრდა ნიჭიერმა მხატვარმა - გივი ცერაძემ.[12]

პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1969). სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო ნამუშევარი. დადგმა გ. სარჩიმელიძის. მხატვარი გ. ცერაძე. უნივერსიტეტში დაცულია ამ ოთხმოქმედებიანი კომედიისთვის შექმნილი ოთხი ესკიზი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გივი ცერაძის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლების ესკიზები დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში, მათ შორისა „ანჟელოს“ (1958) და „სეილემის პროცესის“ (1960) ესკიზები. ამ სპექტაკლების ესკიზების ნაწილი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტშიცაა. მაგრამ არის სპექტაკლები, რომელთა სცენოგრაფიაზე წარმოდგენას გვიქმნის ხელოვნების სასახლეში დაცული ესკიზები. ეს სპექტაკლებია: კ. გუდრიჩის და ა. ჰეკეტის „ანა ფრანკის დღიური“ (პრემიერა: 28, 29/VI. 1961. სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის მეორე სადიპლომო სპექტაკლი. რეჟ. ი. კაკულია), ა. ოსტროვსკის „უმზითვო“ (პრემიერა: 21-24/XII. 1961. სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის პირველი სადიპლომო სპექტაკლი. რეჟ. შ. გაწერელია) და შ. დადიანის „თეთნულდი“ (პრემიერა: 27-28/VI. 1961. სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი. რეჟ. გ. სარჩიმელიძე).

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლები ერთ წელსაა დადგმული, მათი ესკიზები სტილისტურად განსხვავებულია და მხატვრის შემოქმედებით ძიებათა მრავალგვარობაზე მიუთითებს. „თეთნულდის“ ესკიზები - გრაფიკულ და ლოკალურ ფერთა კომბინაციითაა შექმნილი და ერთგვარი პლაკატურობით ხასიათდება, „უმზითვოს“ ესკიზები მინიმალისტური, კონსტრუქტივისტული გადაწყვეტით გამოირჩევა, სადაც უმთავრესი აქცენტი სივრცის მასშტაბურობაზე კეთდება. „ანა ფრანკის დღიურის“ ესკიზი ალბათ ერთ-ერთი აღსანიშნავი ნიმუშია, რომელშიც რამდენიმე სამოქმედო მოედანი ერთიან სასცენო სივრცეში ორგანულადაა გაერთიანებული და სხვადასხვა მოქმედების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეებში ერთდროულად განვითარების შესაძლებლობას ქმნის. დინამიზმითა და ფერწერულობით გამორჩეული ეს ესკიზი სასცენო სივრცის მხატვრული გააზრების სრულიად ახლებურ ხედვას გვთავაზობს.

12 გაზ. „Вечерний Тбилиси“, #85, 1961.





გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის ა. მილერის „სეილემის პროცესი“, 1960. ქაღ., აკვარელი, გუაში, 31 X 43 სმ.

ა. მილერის „სეილემის პროცესი“, 1960. რეჟისორი ა. მიქელაძე. მხატვარი გ. ცერაძე. სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სადიპლომო სპექტაკლი.

გ. ცერაძე. დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის ა. ჩეხოვის „თოლია", 1960. ქაღ., ტუში, 1) 30,8 X 17 სმ, 2) 30 X 21 სმ.

ა. ჩეხოვის „თოლია", 1960. რეჟისორი ა. თავზარაშვილი, მხატვარი გ. ცერაძე. სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის ა. არბუზოვის „ეს მოხდა ირკუტსკში“, 1962. ქაღ., გუაში, 40 X 30 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის ე. სკრიბის „ჭიქა წყალი“, 1960. 1) ქაღ., ფანქარი, გუაში, 21,5 X 30 სმ. 2) 3) 4) ქაღ., ფანქარი, 21,5 X 30,5 სმ.

გ. ცერაძე, დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“, 1960. ქაღ., აკვარელი, 31 X 36,5 სმ. / 21 X 30 სმ.

გ. ცერაძე. დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისთვის პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, 1969.
მუყაო, გუაში, 1) 25,5 X 37 სმ, 2) 27 X 37,5 სმ, 3) 25,5 X 37 სმ, 4) 27,5 X 36 სმ.

კ, გუდრიჩის და ა. ჰეკეტის „ანა ფრანკის დღიური“, 1961.
რეჟისორი ი. კაკულია, მხატვარი გ. ცერაძე.
სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სადიპლომო სპექტაკლი.

საინტერესო გამოხმაურება ჰქონდა „ანა ფრანკის დღიურს“ პრესაში. გაზეთი „ახალგაზრდა კომუსნისტი“ წერდა: „თეატრალური ინსტიტუტის ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში სცენა ნელ-ნელა ნათდება. გ. ცერაძის დეკორაციები დამაჯერებლად გადმოგვცემს იმ გარემოს, რომელშიც სამი მოქმედების განმავლობაში უხდებათ ცხოვრება და მოქმედება სპექტაკლის გმირებს. მოხერხებულად არის განლაგებული მანსარდის სამი ოთახი და სხვენის პატარა ნაწილი“.[13]

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში „ანა ფრანკის დღიურის“, „უმზითვოს“ და „თეთნულდის“ სპექტაკლების შესახებ მხოლოდ ფოტომასალა და წარმოდგენათა პროგრამებია დაცული.

გივი ცერაძე თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობდა სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული ხელწერის მქონე რეჟისორებთან, მსახიობებთან. მათ შორის არიან: მიხეილ თუმანიშვილი, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, დიმიტრი ალექსიძე, ლილი იოსელიანი, ანტონ თავზარაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, აკაკი ფაღავა, იური კაკულია, შალვა გაწერელია, თეიმურაზ აბაშიძე, ლევან მირცხულავა, კუკური პატარიძე, გივი სარჩიმელიძე, ალექსანდრე მიქელაძე, ნუგზარ გაჩავა, მედეა კუჭუხიძე, შოთა მესხი, კონსტანტინე სურმავა, დავით კობახიძე, ანზორ ქუთათელაძე.

1960-იანი წლებით თარიღდება გივი ცერაძის „დახასიათება“ გაცემული თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორის, ეთერ გუგუშვილის მიერ (დოკუმენტი შედგენილია რუსულად და დაბეჭდილია ინსტიტუტის ბლანკზე): „ცერაძე ვასილ (გივი) ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1931 წელს, კომკავშირის წევრი 1948 წლიდან.

1957 წლის მაისიდან 1960 წლის სექტემბრამდე მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სადადგმო ნაწილის გამგედ, ფაქტიურად ასრულებს მხატვრის სამუშაოს.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ამხ. ვ.ნ. ცერაძემ თავი გამოავლინა როგორც კეთილსინდისიერმა, პრინციპულმა, თავისი საქმის მცოდნე მუშაკმა, დიდი სიყვარულით რომ ეკიდება თავის ვალდებულებებს.

ასრულებს რა ფაქტობრივად ორმაგ დატვირთვას, ამხ. ცერაძემ თავი გამოავლინა არა მხოლოდ საორგანიზაციო თვალსაზრისით, არამედ როგორც მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე ნამდვილმა პროფესიონალმა, რომელიც სცენის კარგად ცოდნით გამოირჩევა.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ამხ. ცერაძემ გააფორმა ოცდაათზე მეტი სპექტაკლი, რომელთა შორის საუკეთესოა: მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, იბსენის „მოჩვენებანი“, არბუზოვის „ეს მოხდა ირკუტსკში“, ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, ა. პუშკინის „დონ ჟუანი“, ჯ. პრისტლის „დრო და კონვეის ოჯახი“, შ. დადიანის „თეთნულდი“, გ. ერისთავის „ძუნწი“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ა. მილერის „სეილემის პროცესი“ და მრავალი სხვა. ყველა ამ სპექტაკლში გამოვლინდა მხატვრის უნარი ზედმეტი დეტალებით სცენის გადატვირთვის გარეშე, ძუნწი და ლაკონური გამომსახველობითი ხერხებით, ინსტიტუტის სცენის შესაძლებლობების გამოყენებით, სახოვნად და შთამბეჭდავად წარმოაჩინოს დრამატურგისა და რეჟისორის ძირითადი არსი.

13 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 08.07.1961.

ამხ. ცერაძე აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მუდმივად ორგანიზატორია დასვენების საღამოების, მეცადინეობდა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის წრეში, სადაც წაიკითხა მოხსენება თემაზე „მშვენიერების პრობლემა“.

ამხ. ცერაძე ინსტიტუტის მთელი კოლექტივის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

პრორექტორი / დოც. ე.ნ. გუგუშვილი/“.[14]



საქართველოს სსრ—ГССР

კულტურის სამინისტრო—МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

ГРУЗИНСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТРАЛЬНЫЙ ИНСТИТУТ ИМЕНИ РУСТАВЕЛИ

თბილისი, რუსთაველის პრ., № 17, ტელ. 3-64-11 — Тбилиси, проспект Руставели, № 17, телефон 3-64-11

№ _____ «___» _____ 196 г.

ХАРАКТЕРИСТИКА.

Тов. Церадзе Василий (Гиви) Николаевич, 1931 года рождения, член ВЛКСМ с 1948 года работал с мая 1957 года по сентябрь 1960 г. в Грузинском государственном театральном институте имени Ш.Руставели, в должности заведующего постановочной частью, исполняя фактически работу художника.

За время своей работы в институте тов. ЦерадзеВ.Н. проявил себя добросовестным, принципиальным, знающим своё дело работником, с большой любовью относящимся к своим обязанностям.

Выполняя фактически двойную нагрузку, тов. Церадзе показал себя не только с точки зрения организационной, но и как настоящий профессионал, обладающий высоким художественным вкусом и хорошим знанием сцены.

За время работы в институте тов. Церадзе оформил свыше тридцати спектаклей, лучшими из которых были "Васса Железнова" М.Горького, "Ромео и Джульета" Шекспира, "Привидения" Ибсена, " Иркутская история" Арбузова, "Бесприданница" А.Островского, "Дон Жуан" Пушкина, "Время и семья Конвей" Дж.Пристли, "Тетнульд" Ш.Дадиани, "Скупой" Г.Эристави, "Сулели" Шукашвили, "Салемский процесс" А.Миллера и многие другие. Во всех этих спектаклях проявились умение художника, не нагромождая сцену излишними деталями, скупыми и весьма лаконичными выразительными средствами использовать возможности институтской сцены, образно и впечатляюще воссоздать основную мысль драматурга и режиссуры.

Тов. Церадзе активно участвовал в общественной жизни института, являлся постоянно организатором вечеров отдыха, занимался в кружке по марксистско-ленинской эстетике, где прочёл доклад на тему "Проблема прекрасного".

Тов. Церадзе пользовался любовью и уважением всего коллектива института.

Проректор /доц. Э.Н.Гугушвили/.

ეთერ გუგუშვილი, გივი ცერაძის დახასიათება, 1960-იანი წლები.
ნინო ცერაძის არქივი.

14 ეთერ გუგუშვილის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი იყო 1955-1972 წლებში.

გივი ცერაძის დახასიათებაში ჩვენ მიერ ზემოთ განხილული არაერთი სპექტაკლი ფიგურირებს. მათი მხატვრული გაფორმების ამსახველი ესკიზები ნაწილობრივაა შემორჩენილი ისევე, როგორც ფოტომასალა. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ის სადადგმო ნაწილის გამგედ მუშაობს და ,,ფაქტიურად ასრულებს მხატვრის სამუშაოს". უნივერსიტეტში დაცული სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების რეპერტუარის მიხედვით, 1960-იან წლებში ინსტიტუტში განხორციელებული სპექტაკლების უმრავლეობა გ. ცერაძის სცენოგრაფიითაა დადგმული. ამაზე მეტყველებს შემორჩენილი ესკიზების რაოდენობაც.

აღსანიშნავია, რომ მხატვრის დახასიათებაში ჩამოთვლილი სპექტაკლები 1959-1962 წლებშია დადგმული. უნივერსიტეტში დაცულ წარმოდგენათა პროგრამების მიხედვით, ამ დროისათვის, გივი ცერაძე თეატრალურ ინსტიტუტში ორმოცდაათზე მეტი სპექტაკლის სცენოგრაფად გვევლინება.

გივი ცერაძეს ეკუთვნის თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული სპექტაკლის - დ. კლდიაშვილის ,,ბაკულას ღორების" სცენოგრაფია, რომლის პრემიერაც 1978 წლის 17 ნოემბერს თეატრალურ ინსტიტუტში შედგა. ეს იყო სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის საკურსო სპექტაკლი. რეჟისორი მ. თუმანიშვილი. ამავე წელს გაიხსნა თეატრალური სახელოსნო - კინომსახიობთა თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორიც, ასევე, მიხეილ თუმანიშვილი იყო, დასის წევრები კი ,,თუმანიშვილის სკოლის" ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები - რეჟისორები და მსახიობები. თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული ,,ბაკულას ღორები" დღემდეა თუმანიშვილის თეატრის რეპერტუარში. 2023 წელს სპექტაკლი წარმოდგენილი იყო ნოდარ დუმბაძის სახელობის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალზე. ფესტივალის შემაჯამებელ სტატიაში ავტორი, ანასტასია ჩერნეცოვა, აღნიშნავს: ,,...სპექტაკლი თეატრის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. ორმოცდახუთ წელზე მეტია სპექტაკლი ცოცხლობს და მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ვფიქრობ, დადგმის ხანგრძლივ სცენურ სიცოცხლეს განაპირობებს ,როგორც საოცარი სამსახიობო ანსამბლი, ისე წამოჭრილი თემების აქტუალობა. სპექტაკლის მხატვრული ენა პირობითია, ამაზე მეტყველებს თუნდაც გივი ცერაძის სცენოგრაფია - კოსტიუმების მხატვრობა. მსახიობების შექმნილი პერსონაჟები კარიკატურულები არიან. მსგავსი გამომსახველობითი ხერხით შემოქმედებითი ჯგუფი მწვავედ წარმოაჩენს პერსონაჟთა ვრძნობათა ბუნებას." სპექტაკლისა და მისი მხატვრული გადაწყვეტისადმი ინტერესი არ ნელდება ათწლეულების შემდეგაც.[15]

1958 წლიდან მოყოლებული 1960-იანი წლების ჩათვლით, თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების თითქმის უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გივი ცერაძემ გააფორმა. მხატვრის ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებაზე მიუთითებს ისიც, რომ თეატრალური ინსტიტუტის პარალელურად, გივი ცერაძე სპექტაკლებს აფორმებს მის მშობლიურ ქალაქ ცხინვალში. 1960-70-იან წლებში მან არაერთი წარმოდგენა გააფორმა ცხინვალის კ.ხე-

15 https://t.ly /vTDyB

თაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. 1965 წლის გაზეთ „კომუნისტის“ თეატრალურ ქრონიკაში ვკითხულობთ: „ცხინვალის სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი - ვ. კანდელაკის ორნაწილიანი დრამა „ნაკრძალში“, რომლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა მ. დანიელაშვილმა, მხატვარი - გ. ცერაძე, ქორეოგრაფი - რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი - ხ. გაგლოევი“. ამ ინფორმაციის გათვალისწინებითაც კი კარგად ჩანს, თუ რამდენად პროდუქტიული მხატვარია გ. ცერაძე. სწორედ ამ პერიოდში ის ინტენსიურად მუშაობს თეატრალურ ინსტიტუტში. სპექტაკლების უმრავლესობა აქ მისი სცენოგრაფიით იდგმება, არის თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მთავარი მხატვრი და, ამავდროულად, აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ გამოფენებში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ გამოფენებზე მხატვარს უმთავრესად დაზგური სურათები აქვს წარმოდგენილი, მეტწილად, პეიზაჟები, ასევე, პორტრეტები. თუმცა გვხვდება თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის ნიმუშებიც.

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში (დღეს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა) იმართებოდა მხატვართა „საშემოდგომო“ და „საგაზაფხულო“ გამოფენები, რომლებიც იმ დროისათვის სისტემატურ სახეს ატარებდა. 1966 წელს გამართულ ერთ-ერთ „საშემოდგომო“ გამოფენას გაზეთ „კომუნისტში“ საგანგებო სტატია ეძღვნება. „ამგვარი რიგითი გამოფენა, ცხადია, ფართო მიზნებს არ ისახავს. მის ამოცანას არ შეადგენს დიდი, მასშტაბური თემატიკური ტილოების დემონსტრირება. მიუხედავად ამისა, „საგაზაფხულო“ და „საშემოდგომო“ ექსპოზიციები თითქმის ყოველთვის საინტერესო მოვლენად იქცევა. აქ წარმოდგენილი, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში შესრულებული ნაწარმოებები ხშირად ნათელყოფს მხატვართა ძიების ნაყოფიერებას, დაოსტატების ახალ სიმაღლეზე ასვლას, ახლის მიგნებას. ყოველივე ეს განსაზღვრავს ამ გამოფენების წარმატებას საზოგადოებაში“. ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გვერდით ამ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ქანდაკებისა და ჭედურობის ნიმუშები. ჟანრობრივად კი წამყვანი მაინც პეიზაჟი იყო, რასაც სტატიის ავტორიც აღნიშნავს. ელენე ახლედიანის პეიზაჟების, ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტების გვერდით იგი გამოყოფს გივი ცერაძის ნამუშევრებსაც: „ბუნების შინაგანი განწყობილების წარმოსახვით შთამბეჭდავია მ. ხვიტიას, გ. ნარმანიას, გ. ცერაძის პეიზაჟური ტილოები“.[16]

1965 წელს თეატრისა და კინოს მხატვრების ჯგუფურ გამოფენაზე თბილისში, ირ. გამრეკელის, პ. ოცხელის, ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ი. შარლემანის ნამუშევრების გვერდით, ექსპონირებული იყო გივი ცერაძის ესკიზები სპექტაკლებისთვის: ე. რაძინსკის „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ“ და ძიუნძი კინოსიტას „წეროს ფრთები“.[17] ორივე წარმოდგენა გ. ცერაძემ მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში განახორციელა.

ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობის გარდა, გივი ცერაძე მართავდა პერსონალურ გამოფენებსაც. 1968 წლის თებერვალში მხატვრის ნამუშევრების გამოფენა

16 გაზ. „კომუნისტი“, #3, 1966.

17 გაზ. „Вечерний Тбилиси“, 23.11.1965.

მოეწყო თბილისში „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში ამავე საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციის ინიციატივით“. გამოფენილი იყო „მხატვრის მიერ დიდი გემოვნებით შესრულებული 80-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ათვალიერებ ექსპონირებულ სურათებს და თქვენს თვალწინ იშლება მშობლიური ქვეყნის პეიზაჟები, თბილისის, სვანეთის ხედები. განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი მხატვრის მიერ საზღვარგარეთ შესრულებული ჩანახატები - ბრატისლავის, პრაღის, რომის, ვენეციის, ბრიუსელის ღირშესანიშნაობანი, ისტორიული ძეგლები“.[18] ჯერ კიდევ 1961 წელს იმოგზაურა მხატვარმა იტალიაში და შექმნა სურათების საინტერესო სერია.[19]

1967 წელს გივი ცერაძეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1968 წელს თბილისში გამართულ გამოფენაზე, რომელიც ცნობილმა მხატვარმა - ლადო გუდიაშვილმა გახსნა, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილი იყო გ. ცერაძის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლების: ა. პუშკინის „ქვის სტუმარი“, კ. გუდრიჩისა და ა. ჰაკეტის „ანა ფრანკის დღიური“, იან ოტჩენაშეკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“ ესკიზები.[20]

ამ ინფორმაციის გარდა, გაზეთში „Вечерний Тбилиси“ (01.03.1968) დაბეჭდილ სტატიაში სათაურით „ოსტატობა და ფუნჯის თავისებურება“ ვკითხულობთ: „მისი ნამუშევრები დემონსტრირებული იყო რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. წარმატებით გამოვიდა ის თეატრის მხატვრების საერთაშორისიო გამოფენაზე 1967 წელს მიუნჰენში. ახლა კი ჩეხოსლოვაკელმა მეგობრებმა, რომლებიც კარგად იცნობენ გ. ცერაძის ნამუშევრებს, მიიწვიეს მისი გამოფენა პრაღაში. დაახლოებით 80 ნამუშევარი უახლოეს პერიოდში გაიგზავნება ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებაში, მანამდე კი თბილისელებს შეუძლიათ მოინახულონ გ. ცერაძის ნამუშევრების გამოფენა“.

გივი ცერაძე რომ უაღრესად პროდუქტიული მხატვარია, ცხადად ჩანს არა მხოლოდ მის მიერ გაფორმებული სპექტაკლების, არამედ პერსონალური და ჯგუფური გამოფენების რაოდენობითაც.

მხატვრის გამოფენები, საქართველოს გარდა, ეწყობოდა იმდროინდელი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვადასხვა ქალაქში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, რიგაში, ტალინში, ბერლინში, მიუნჰენში, ბრატისლავაში, პრაღაში. ამ გამოფენებზე უმთავრესად წარმოდგენილი იყო გივი ცერაძის როგორც დაზგური შემოქმედება - ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ასევე, თეატრალური ესკიზები.

1974 წელს მხატვარმა მონაწილეობა მიიღო მადრიდში გამართულ „ასიტეჟი“-ს (საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა თეატრების ასოციაცია) კონგრესის მუშაო-

18 გაზ. „კომუნისტი“, #46, 1968.

19 გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989, გვ. 33.

20 გაზ. „Вечерний Тбилиси“, #52. 1968.

ბაში. მოგვიანებით შექმნა საინტერესო სურათები ესპანურ თემაზე.[21]

გივი ცერაძის პერსონალური გამოფენები იმართებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1977 წელს ქალაქ ვილნიუსის სამხატვრო მუზეუმში გაიხსნა მისი ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც მხატვრის ასზე მეტი ფერწერული ტილო, გრაფიკული ნახატი და თეატრალური დეკორაციის ესკიზი იყო ექსპონირებული. გამოფენა გ. ცერაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცწლიან პერიოდს ასახავდა. როგორც პრესით ხდება ცნობილი: ,,შარშან ვილნიუსელ ხელოვნების მოყვარულებს დიდი ინტერესი აღუძრა ქართველი ფერმწერის მიმოხილვითმა გამოფენამ",[22] რაც ცხადყოფს, რომ ეს არ იყო მხატვრის პირველი გამოფენა ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში. ამავე, 1977 წელს გივი ცერაძემ სურათით ,,ჩემი თბილისი" (1977. ტ.ზ. 180 X 180 სმ) მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენაზე.

გივი (ვასილ) ცერაძის მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ცალკე კვლევის საგანია. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილია თეატრალური ინსტიტუტი, სადაც მხატვარმა ასზე მეტი სპექტაკლი გააფორმა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გ. ცერაძე წარმოდგენებს აფორმებდა მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის თეატრებში, ბათუმის, რუსთავის, ცხინვალის, რიგის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. 1961-1974 წლებში იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მთავარი მხატვარი; ფერწერის კურსი მიჰყავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე (1969-1975). 1970-1973 წლებში სცენოგრაფიას ასწავლიდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.[23]

გივი ცერაძე 1987 წელს, 55 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მხატვრის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1989 წელს, თბილისში გაიმართა გივი ცერაძის პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრული სპექტრი: ფერწერა, გრაფიკა, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება. მრავალფეროვანი იყო ჟანრული თვალსაზრისითაც - პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი.

გამოფენის კატალოგში (ტექსტი ლ. დოლაბერიძის) შესული ნამუშევრების ჩამონათვალში, ფერწერისა და გრაფიკის გარდა, მოცემულია თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის ნიმუშებიც. ამ უკანასკნელში ესკიზების უმრავლესობა თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებს უკავშირდება. კატალოგში მხატვრის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული 13 სპექტაკლის 18 ესკიზია წარმოდგენილი. კერძოდ,

,,1957

1. ,,მეექვსე სართული", ა. ჟერი, რეჟისორი მ. თუმანიშვილი, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 40 X 50;
2. ,,უსახელო ვარსკვლავი", მ. სებასტიანი, რეჟისორი ა. თავზარაშვილი, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 41 X 51;

21 გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989, გვ. 33.

22 გაზ. ,,კომუნისტი", #76, 1977.

23 გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989, გვ. 33.

3. „უნებლიე მკურნალი“, ჟ. ბ. მოლიერი, რეჟისორი კ. პატარიძე, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 40 X 51;

1958

1. „განძი“, ჯ. პრისტლი, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 40 X 52;
4. „მოჩვენებები“, ჰ. იბსენი, რეჟისორი მ. თუმანიშვილი, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 41 X 51;
5. „იუპიტერი იცინის“, ა. კრონინი, რეჟისორი ა. მიქელაძე, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 41 X 60;

1959

6. „ანჯელო“, ვ. ჰიუგო, რეჟისორი ა. ხორავა, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 41 X 52;
7. „კონვეის ოჯახი და დრო“, ჯ. პრისტლი, რეჟისორი ლ. იოსელიანი, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 41 X 52;
8. „სეილემის პროცესი“, ა. მილერი, რეჟისორი ა. მიქელაძე, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 40 X 50;

1966

9. „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“, ი. ოტჩენაშეკი, რეჟისორი ი. კაკულია, დეკორაციის ესკიზი, მ. ტემპერა, 50 X 60;

1967

10. „ჭიქა წყალი“, ე. სკრიბი, რეჟისორი დ. ალექსიძე, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 51 X 62;
11. „ანა ფრანკის დღიური“, ვ. გუდრიჩი და ა. ჰეკეტი, რეჟისორი ი. კაკულია, დეკორაციის ესკიზი, მ. გუაში, 48 X 62;

1968

12. „რომეო და ჟულიეტა“. უ. შექსპირი, რეჟისორი ი. კაკულია, დეკორაციის ესკიზი, მ. ტემპერა, 50 X 60;

1969

13. „ფიგაროს ქორწინება“, პ. ო. ბომარშე, რეჟისორი ლ. მირცხულავა, დეკორაციის ესკიზი, მ. ტემპერა, 54 X 85; კოსტიუმის ესკიზი (5) ქ. ტემპერა, 30 X 20.[24]

გივი ცერაძის პერსონალურ გამოფენაზე ექსპონირებული და კატალოგში შესული 13 სპექტაკლისთვის შესრულებული ესკიზებიდან უნივერსიტეტში დაცულია

24 გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989, გვ. 17-21.

შვიდი სპექტაკლის - „უსახელო ვარსკვალავი“, „ძალად ექიმი“ (კატალოგში შესულია „უნებლიე მკურნალის“ სახელწოდებით), „იუპიტერი იცინის“, „ანჟელო“, „სეილემის პროცესი“, „ჭიქა წყალი“ - ესკიზები.

„ეს გამოფენა სავარაუდოდ, ალბათ ვერც შედგებოდა, გივი ცერაძე რომ ცოცხალი იყოს. მისთვის უცხო იყო წარმატებისა და აღიარების გამოვლენის ნებისმიერი ნიშანი. ახლა, მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, თბილისში, მხატვრის სახლში ჩატარდა მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების მიერ ორგანიზებული მემორიალური გამოფენა.

გივი ცერაძე იმ ქართველ ფერმწერთა თაობას ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაც 60-იან წლებში მკვიდრდება. თბილისის სამხატვრო აკადემიის წარმატებით დასრულების შემდეგ, სადაც ის მოსე თოიძის კლასში სწავლობდა, ახალგაზრდა მხატვარმა პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯებისთანავე მიიქცია ყურადღება...

გივი ცერაძე მუშაობდა პეიზაჟის, პორტრეტისა და ნატურმორტის ჟანრში. გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი სპექტაკლი სხვადასხვა თეატრში. ჩეხეთში, ესპანეთში, იტალიაში მოგზაურობის შედეგად ჩნდება გრაფიკული ჩანახატების სერია ვენეციის, პრაღის, ბრატისლავას და სხვა ქალაქების ხედებით. ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა მხატვარს ელენე ახვლედიანთან და ქეთევან მაღალაშვილთან“.[25]

1990 წელს მოსკოვში, საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ გაიმართა გივი ცერაძის ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიციაში ჩართული იყო მხატვრის 62 სურათი, უმთავრესად, საქართველოს პეიზაჟები. „ისინი მშვენიერია. საწყენია, რომ აქ არ არის არცერთი თეატრალური ესკიზი ისევე, როგორც ცნობილი მსახიობების, კრიტიკოსების, მხატვრების, მეცნიერების პორტრეტები. გასაგებია, რომ ამაში „დამნაშავეა“ მოკრძალებული საგამოფენო დარბაზი... მართლაც, ცერაძის თეატრალურობა მაინც მჟღავნდება მის დაზგურ ფერწერაში. ის ქმედითია. არ ცნობს სიმშვიდეს, მაშინაც კი, როცა სიუჟეტით არც არის ნავარაუდევი დინამიკა. ღრუბელიც, თოვლიც, სოფლის გზა, მთები - ყველაფერი ცერაძის ტილოებზე მიზანსწრაფულად მოძრაობს. მისი ფერები კი ისეთი კაშკაშაა, თითქოს თავად ბუნებისგანაა ანგაჟირებული. მხატვრის კიდევ ერთი თავისებურებაა: მას არა მხოლოდ არ სურს განათავსოს საგნები სწორ სიბრტყეზე, არამედ ნატურას აუცილებლად უყურებს ან ზემოდან ან ქვემოდან. გვაიძულებს რა ჩვენც ვეძებოთ ხედვის განსაკუთრებული კუთხე. ისეთ სურათებში, როგორიცაა „ყეენობა“ ან „სოფლის ზეიმი“, რომლებიც თითქოს არ არიან სცენაზე განსახიერებისთვის განკუთვნილი, მაინც თეატრისადმია ერთგული, კარნახობს რა რეჟისორს მიზანსცენებისთვის საინტერესო სვლებს“.[26]

1995 წელს „კავკასიის მხატვრათა გილდიისა“ და „კავკასიური სახლის“ მიერ თბილისში გამართულ გამოფენაზე ელენე ახვლედიანის, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის, ეკატერინე ბაღდავაძის, ავთო ვარაზის, მოსე თოიძის, ფარნაოზ ლაპიაშვილის, ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, პეტრე ოცხელის, შალვა

25 გაზ. „Заря Востока“, 02.08.1989.

26 გაზ. „Советская Культура“, 18.08.1990.

ქიქოძის, ირაკლი ფარჯიანის, ვასილ შუხაევის და სხვა ცნობილი მხატვრების გვერდით წარმოდგენილი იყო გივი ცერაძის ფერწერაც.

2002 წელს „ომეგა-ჯგუფის“ ინიციატივით მოწყობილ გამოფენაზე „მშვენიერი ქართველი ქალი“ ექსპონირებული იყო XIX–XX საუკუნეებში, ქართველ და უცხოელ მხატვართა მიერ შექმნილი ქართველ ქალთა პორტრეტები (ფერწერა, გრაფიკა). ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი 50-იანელთა შემოქმედებაც, გოგი თოთიბაძის, ზურაბ ნიჟარაძის, მერაბ ბერძენიშვილის, დიმიტრი ერისთავის, ედმონდ კალანდაძის ნამუშევრებთან ერთად, გამოიფინა გივი ცერაძის „ნანა ღვინეფაძის პორტრეტი“ (1974). ეს ნამუშევარი გამოფენის კატალოგში შესულ 30 პორტრეტს შორისაა ჩართული.[27]

მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინტერესის მიუხედავად, „თეატრში მუშაობის დროს ყველაზე სრულად გამოჩნდა გ. ცერაძის ერუდიცია, განსწავლულობა, დახვეწილი გემოვნება და არტისტული ბუნება. გ. ცერაძის მიერ გაფორმებულმა ბევრმა სპექტაკლმა დაიმსახურა სხვადასხვა ჯილდო“.[28]

გივი ცერაძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მსახიობებისა და რეჟისორების არაერთი თაობის ჩამოყალიბებაზე და თავად თეატრალური ინსტიტუტის ისტორიაში. როდესაც რექტორს, ეთერ გუგუშვილს ჰკითხეს: „განვლილ წლებს რომ გადახედავთ, ვის უფრო გაიხსენებთ ხოლმე?“ მან უპასუხა: „იმ ხალხს, ვისთან ერთადაც ვიღვწოდი წლების მანძილზე ინსტიტუტში. არ შემიძლია ტკივილის გარეშე მათი გახსენება. აგერ, ჩემს კაბინეტში მიკიდია აკაკი ხორავას და დოდო ალექსიძის პორტრეტები, რა ხალხი წავიდა - მალიკო მრევლიშვილი, რუსუდან მიქელაძე, კოწო ბადრიძე, გივი ცერაძე, იური ზარეცკი, საშა კიკნაძე, ეკატერინე კედია, ვალენტინა გამსახურდია, მირიან აბულაძე, კუკური პატარიძე... მეტეორივით ჩაიარა მათმა სიცოცხლემ, როგორ გამოადგებოდა თითოეული მათგანი ჩვენს მამულს!“.[29]

გივი ცერაძე, როგორც სცენოგრაფი, თეატრალური ინსტიტუტის იმ შემოქმედთა და პედაგოგთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც არა მარტო გააგრძელეს თეატრალური ინსტიტუტის ტრადიცია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულ ჩამოყალიბებაში, არამედ მყარი საფუძველი შექმნეს მისი შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული ესკიზების კვლევისა და ატრიბუციის საფუძველზე, გივი ცერაძის თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლების სცენოგრაფიის შესწავლას ისახავდა მიზანად. თუმცა ამ უაღრესად ნიჭიერი, მრავალმხრივი მხატვრის შემოქმედება (დაზგური ფერწერა, გრაფიკა, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება, მულტიპლიკაცია) უფრო ფართო, მონოგრაფიული კვლევის საგანია, რათა ჯეროვნად შეფასდეს გივი ცერაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და მისი როლი XX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორიაში.

27 ჟურნალ „ომეგას“ გალერეა, მშვენიერი ქართველი ქალი, თბ., 2002.
28 გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989, გვ. 6.
29 გაზ. „Заря Востока“, 02.08.1989.

მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“, 1959. სპექტაკლის შემდეგ. მეორე რიგში სხედან მარცხნიდან: გ. ცერაძე, გ. სარჩიმელიძე, თ. სისაური, დ. ალექსიძე, ე. გუგუშვილი, თ. გონიტაშვილი, ქ. კიკნაძე, გ. ლორთქიფანიძე.

ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, 1959. სპექტაკლის შემდეგ. ბოლო რიგში, მარჯვნიდან პირველი გ. ცერაძე.

კ, გუდრიჩის და ა. ჰეკეტის „ანა ფრანკის დღიური“, 1961. სპექტაკლის შემდეგ. მეორე რიგში სხედან: გ. ცერაძე (მარცხნიდან პირველი), ი. კაკულია (ცენტრში).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალიბეგაშვილი, გ., „მხატვარი თეატრსა და კინოში“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, #3, 1966, გვ. 67-72;
2. ბელაშვილი თ., XX საუკუნის II ნახევრის ქართული სცენოგრაფიის მხატვრული მახასიათებლები რუსთაველის თეატრის დადგმების მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000, თბ., 2019;
3. გივი ცერაძე - კატალოგი, ტექსტი ლ. დოლაბერიძის, 1989;
4. დოლიძე ი., „მეხსიერების ისტორიიდან - ესკიზების კოლექცია“, სამეცნიერო შრომების კრებული „Art კვლევები“, III, 2021, გვ. 14-54;
5. დოლიძე ი., „უცნობი კოლექციის შესახებ“, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებულში „ხელოვნება და თანამედროვეობა“, #1 (11), 2021;
6. თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი, #3 (22), 2005;
7. „თეატრის მხატვრობა 1920-1950, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია“, თბ., 2008;
8. თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბ., 2008;
9. თუმანიშვილი ე., სცენოგრაფიის განვითარების ტენდენციის შესახებ (ზოგადი სურათი-მონახაზი: 1920-1970-იანი წლები), Ars Georgica, 2017, ელექტრონული ჟურნალი http://georgianart.ge/indeX.php/ka/component/content/article/213.html?ed=18
10. კიკვაძე ხ., ტრადიცია და ნოვატორობა ქართულ სცენოგრაფიაში, თბ., 2012;
11. ჟურნალ „ომეგას“ გალერეა, მშვენიერი ქართველი ქალი, თბ., 2002;
12. საიუბილეო თარიღები: თეატრი, მუსიკა, კინო. თბ., 1991;
13. ღონღაძე ლ., საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 1923-2023, თეატრალური 100, თბ., 2023;
14. საიუბილეო თარიღები: თეატრი, მუსიკა, კინო. თბ., 1991;
15. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 01.03. 1953; 14.07. 1956; #22, 1958; 08.07.1961;
16. გაზ. „თბილისი“, 26. 01. 1959;
17. გაზ. „კომუნისტი“, #3, 1966; #46, 1968; #76,1977; #250, 1990;
18. გაზ. „Вечерний Тбилиси“, 28.04.1958; #85. 10.04.1961; 23.11.1965; #52, 1968;
19. გაზ. „Заря Востока“, 02.08.1989;
20. გაზ. „Советская Культура“, 18.08.1990;
21. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00011092/
22. https://t.ly/vTDyB
23. გივი ცერაძის არქივი (დაცულია ნინო ცერაძის ოჯახში).

Irma Dolidze

THE SCENOGRAPHY OF THE THEATRE PERFORMANCES OF THE THEATRE INSTITUTE - ON THE ATTRIBUTION OF GIVI TSERADZE'S DESIGNS

Summary

The Museum of the Shota Rustaveli Theatre and Film University of Georgia, which has been transformed into an educational and scientific archive since 2024, preserves about three hundred sketches depicting the artistic design of course and diploma performances staged at the Theater Institute. The majority of them were created in the 1940s-1960s and belong to famous artists and scenographers of the 20th century. Among them are: Dimitri Tavadze, Irina Stenberg, Boris Loktin, Parnaoz Lapiashvili, Alexandra Tevzadze, Givi Tseradze. The largest number of sketches in the collection belongs to the artist Givi (Vasil) Tseradze (1931-1987). In 1957-1979, he designed more than a hundred performances at the Theater Institute. Currently, 72 sketches of the artist are preserved at the University of Theatre and Cinema. Givi Tseradze's work has not been studied. Information about the artist is mostly found in articles and catalogs published in the press about various exhibitions or performances. Materials related to his life and work (as well as personal documents) are preserved in the family of Givi Tseradze's daughter, Nino Tseradze. Among them is the autobiography written by the artist in 1962, which is of great importance for the reconstruction of his biography and creative heritage. “I, Vasil (Givi) Nikoloz Tseradze, was born on December 29, 1931, in the city of Tskhinvali, South Ossetia Autonomous District, Georgian SSR, into a family of a servant. Georgian by nationality. At the age of 7, I entered Tskhinvali Secondary School No. 2, which I graduated from in 1948. In 1948-49, I successfully graduated from the Tskhinvali Tuganov Art School. In 1950, I enrolled in the Tbilisi Academy of Arts, Department of Painting. I graduated from the Academy of Arts in 1956 with honors. For the series of landscapes “My Homeland”, I was accepted as a candidate of the Union of Soviet Artists of the Georgian SSR. In 1956, I began working as an artist at the “Georgian Film” film studio. In May 1957, I started working at the Shota Rustaveli Georgian State Theatre Institute as a decorator and head of the staging department, where I worked until 1960. In parallel with easel painting and graphics, I decorated more than forty-five theatrical performances staged in the theaters of Moscow, Tbilisi, Batumi and Sukhumi. I also visited the Higher Theater Schools of the Soviet Union in Moscow, where I was awarded a certificate of honor for the performance "Jupiter Laughs" staged according to Cronin's play. My best productions, which have been repeatedly noted by the press and the theater community, are: “The Crucible”

by Miller, “The Sixth Floor” by Gerry, “Ghosts” by Ibsen, “Romeo and Juliet” by Shakespeare, “The Doctor” by Moliere, “The Dowry” by Ostrovsky, “It Happened in Irkutsk” by Arbuzov, “Jupiter Laughs” by Cronin, “Time and the Conway Family” by Priestley, “Such is Love” by Kohout, “The Diary of Anne Frank” by Goodrich and Hackett and many others. After graduating from the Tbilisi Academy of Arts, I have been constantly participating in all republican exhibitions. Also at the exhibition of students of higher educational institutions of the USSR in 1957; at the exhibition of the Decade in Moscow, 1958; at the exhibition “Foreign Affairs through the eyes of a young artist” in Moscow, 1961; at the youth exhibition in Moscow, 1962... I have been a member of the Komsomol since 1945... Since 1960, a member of the Union of Artists of the Soviet Union. Since 1959, a member of the Theatrical Society of the Georgian SSR... Tseradze V.N. 5.V.62. Tbilisi.”

Thus, a completely young artist, who graduated from the Faculty of Painting of the Tbilisi Academy of Arts in 1956, in 1957 at the Theater Institute staged his first performance of S. Evlakhov’s “Soldier’s Heart” (1957. dir. Ak. Khorava). From then on, Givi Tseradze was the institute's decorator for 22 years. The university has preserved sketches for three dozen performances designed by Givi Tseradze at the Theater Institute. Most of them were performed in 1958-1960. These performances are: A. Tsagareli's "Siberian" (1958), Moliere's "The Doctor" (1958), A. Cronin's "Jupiter Laughs" (1958), M. Sebastian's "The Nameless Star" (1958), V. Hugo's "Angelo" (1958), J. Priestley's "Treasure" (1958), A. Ger's "The Sixth Floor" (1958), A. Chekhov's "The Bear" (1959), A. Tsereteli's "Butiaoba" (1959), M. Gorky's "Old Man" (1959), A. France's "The Dumb Wife" (1959), P. Calderon's "They Don't Joke About Love" (1960), V. Rozov's "In Search of Joy" (1959), H. Ibsen's "Ghosts" (1959), J. Priest's "Time and the Conway Family" (1959), A. Ostrovsky's "Innocently Guilty" (1959), A. Miller's "Salem Trial" (1960), P. Merimee's "Heaven and Hell" (1960), A. Chekhov's "The Seagull" (1960), E. Scribe's "A Glass of Water" (1960), O. Chijavadze's "The Piglet" (1960), A. Shiukashvili's "The Fool" (1960), A. Arbuzov's "It Happened in Irkutsk" (1962) and others. Givi Tseradze worked at the Theater Institute with directors and actors of different generations and styles. Among them are: Mikheil Tumanishvili, Akaki Vasadze, Akaki Khorava, Dimitri Aleksidze, Lili Ioseliani, Anton Tavzarashvili, Giorgi Ghviniashvili, Akaki Paghava, Yuri Kakulia, Shalva Gatserelia, Teimuraz Abashidze, Levan Mirtskhulava, Kukuri Pataridze, Givi Sarchimelidze, Aleksandre Mikeladze, Nugzar Gachava, Medea Kuchukhidze, Shota Meskhi, Konstantine Surmava, Davit Kobakhidze, Anzor Kutatelaze. Givi Tseradze is the director of one of the outstanding performances of the Tumanishvili Film Actors' Theater, The scenography of Kldiashvili's "Bakula's Pigs", which premiered in 1978 at the Theater Institute. This was a course performance of the 3rd Year of study at the Faculty of Acting and Directing. Directed by M. Tumanishvili. In the same year, a theater workshop - the Theater of Film Actors was also was

founded. "Bakula's Pigs", staged at the Theater Institute, is still in the repertoire of the Tumanishvili Theater.

The diverse creative heritage of Givi Tseradze is the subject of a separate study. The Theater Institute is its most important part, where the majority of performances, especially in the 1960s, are staged with G. Tseradze's scenography. In addition, In 1961-1974 he was the chief artist of the Tbilisi Russian Theater of Young Spectators; G. Tseradze designed performances at the Marjanishvili and Griboedov Theaters, Batumi, Rustavi, Tskhinvali, Riga Theaters of Young Spectators. He taught a painting course at the Faculty of Art History of Tbilisi State University (1969-1975). At the same time, he actively participated in exhibitions: in Tbilisi, Moscow, Leningrad, Kiev, Riga, Tallinn, Berlin, Munich, Bratislava, Prague. In 1967, Givi Tseradze was awarded the title of Honored Artist of Georgia. The fact that Givi Tseradze is an extremely productive artist is clearly visible not only in the number of performances he designed, but also in the number of personal and group exhibitions. Givi Tseradze died in 1987, at the age of 55. Two years after the artist's death, in 1989, a personal exhibition of Givi Tseradze was held in Tbilisi, which presented the full spectrum of the artist's creative heritage: painting, graphics, theatrical and decorative art. It was also diverse in terms of genre - landscape, portrait, still life. The majority of the sketches exhibited at the exhibition represented performances of the Theater Institute. Givi Tseradze's erudition, education, refined taste and artistic nature were most fully manifested in scenography. A number of performances designed by him earned various awards and gained recognition. Givi Tseradze left a significant mark in the history of the Theater Institute. He belongs to the ranks of those creators and teachers who not only continued the tradition of the Theater Institute and played an important role in the professional formation of young creators, but also created a solid foundation for its further growth and development. The present work, based on the research and attribution of sketches preserved at the Shota Rustaveli State University of Theater and Cinema of Georgia, aimed to study the scenography of performances staged at the Theater Institute of Givi Tseradze. However, the work of this extremely talented, versatile artist (easel painting, graphics, theatrical and decorative art, animation) is the subject of a broader, monographic study in order to adequately assess the creative legacy of Givi Tseradze and his role in the history of Georgian painting of the 20th century. Two years after the artist's death, in 1989, a personal exhibition of Givi Tseradze was held in Tbilisi, which presented the full spectrum of the artist's creative heritage: painting, graphics, theatrical and decorative art. It was also diverse in terms of genre - landscape, portrait, still life. The majority of the sketches exhibited at the exhibition represented performances of the Theater Institute. Givi Tseradze's erudition, education, refined taste and artistic nature were most fully manifested in scenography. A number of performances designed by him earned various awards and gained recognition. Givi Tseradze left a significant mark

in the history of the Theater Institute. He belongs to the number of creators and teachers who not only continued the tradition of the Theater Institute and played an important role in the professional formation of young creators, but also created a solid foundation for its further growth and development. The present paper aimed to study the scenography of performances staged at Givi Tseradze's Theater Institute, based on the research and attribution of sketches preserved at the Shota Rustaveli State University of Theater and Cinema of Georgia. However, the work of this extremely talented, versatile artist (easel painting, graphics, theatrical and decorative art, animation) is the subject of a broader, monographic study in order to properly assess Givi Tseradze's creative legacy and his role in the history of 20th-century Georgian painting.

Two years after the artist's death, in 1989, a personal exhibition of Givi Tseradze was held in Tbilisi, which presented the full spectrum of the artist's creative heritage: painting, graphics, theatrical and decorative art. It was also diverse in terms of genre - landscape, portrait, still life. The majority of the sketches exhibited at the exhibition represented performances of the Theater Institute. Givi Tseradze's erudition, education, refined taste and artistic nature were most fully manifested in scenography. A number of performances designed by him earned various awards and gained recognition. Givi Tseradze left a significant mark in the history of the Theater Institute. He belongs to the number of creators and teachers who not only continued the tradition of the Theater Institute and played an important role in the professional formation of young creators, but also created a solid foundation for its further growth and development.

The present work aimed to study the scenography of performances staged at Givi Tseradze's Theater Institute, based on the research and attribution of sketches preserved at the Shota Rustaveli State University of Theater and Cinema of Georgia. However, the work of this extremely talented, versatile artist (easel painting, graphics, theatrical and decorative art, animation) is the subject of a broader, monographic study in order to properly assess Givi Tseradze's creative legacy and his role in the history of 20th-century Georgian painting.

Irma Dolidze

DIE SZENOGRAFIE DER THEATERAUFFÜHRUNGEN DES THEATERINSTITUTS - ZUR ATTRIBUTION DER ENTWÜRFE VON GIVI TSERADZE

Zusammenfassung

Das Museum der Shota Rustaveli Universität für Theater und Film Georgiens, das seit 2024 in ein Bildungs- und Wissenschaftsarchiv umgewandelt wurde, bewahrt etwa dreihundert Skizzen auf, die die künstlerische Gestaltung der am Theaterinstitut inszenierten Kurs- und Diplomaufführungen darstellen. Die meisten von ihnen wurden in den 1940er-1960er Jahren geschaffen und gehören berühmten Künstlern und Szenografen des 20. Jahrhunderts. Unter ihnen sind: Dimitri Tavadze, Irina Stenberg, Boris Loktin, Parnaoz Lapiashvili, Alexandra Tevzadze, Givi Tseradze. Die meisten Skizzen in der Sammlung gehören dem Künstler Givi (Vasil) Tseradze (1931-1987). Zwischen 1957 und 1979 inszenierte er am Theaterinstitut über hundert Theaterstücke. Die Universität für Theater und Film verfügt derzeit über 72 Skizzen des Künstlers. Das Werk von Givi Tseradze wurde nicht untersucht. Informationen über den Künstler finden wir hauptsächlich in Artikeln und Katalogen, die in der Presse zu verschiedenen Ausstellungen oder Aufführungen veröffentlicht wurden. Materialien zu seinem Leben und Werk (sowie persönliche Dokumente) werden in der Familie von Givi Tseradzes Tochter, Nino Tseradze, aufbewahrt. Darunter befndet sich auch die handschriftliche Autobiografie des Künstlers aus dem Jahr 1962, die für die Rekonstruktion seiner Biografie und seines kreativen Nachlasses von großer Bedeutung ist. „Ich, Wassil (Giwi) Nikolozisdse Tseradse, wurde am 29. Dezember 1931 in Zchinwali im Autonomen Kreis Südossetien der Georgischen SSR in die Familie eines Angestellten geboren. Ich bin Georgier. Mit sieben Jahren besuchte ich die Zweite Sekundarschule in Zchinwali, die ich 1948 abschloss. 1948/49 absolvierte ich die Tuganov-Kunstschule in Zchinwali. 1950 schrieb ich mich an der Kunstakademie Tiflis im Fachbereich Malerei ein. 1956 absolvierte ich die Akademie der Künste mit Auszeichnung. Für den Landschaftszyklus „Meine Heimat“ wurde ich in den Verband sowjetischer Künstler der Georgischen SSR aufgenommen. 1956 begann ich als Künstler im Georgischen Filmstudio zu arbeiten. Im Mai 1957 begann ich meine Arbeit am Shota-Rustaveli-Theaterinstitut Georgiens als Bühnenbildner und Leiter der Inszenierungsabteilung, wo ich bis 1960 tätig war. Neben der Staffeleimalerei und Grafik habe ich mehr als 45 Theateraufführungen entworfen, die in Theatern in Moskau, Tiflis, Batumi und Suchumi aufgeführt wurden. Auch in St. In Moskau erhielt ich während einer Tournee durch die höheren Theaterschulen

der Sowjetunion eine Ehrenurkunde für meine Aufführung von „Jupiter lacht“, basierend auf Cronins Stück. Meine besten Produktionen, die wiederholt von der Presse und der Theatergemeinschaft gewürdigt wurden, sind: „Salem Trial“ von A. Miller, „The Sixth Floor“ von Gerry, „Ghosts“ von Ibsen, „Romeo und Julia“ von Shakespeare, „Der Doktor“ von Moliere, „Die Mitgift“ von A. N. Ostrowski, „Es geschah in Irkutsk“ von A. Arbuzov, „Jupiter lacht“ von A. Cronin, „Time and the Conway Family“ von G. G. Priestley, „So eine Liebe./“Taková láska“, 1957 von P. Kohout, „Das Tagebuch der Anne Frank“ von Goodrich und Hackett und viele andere. Nach meinem Abschluss an der Tifliser Kunstakademie habe ich ständig an allen republikanischen Ausstellungen teilgenommen. Auch auf der Ausstellung von Studenten der Hochschulen der UdSSR im Jahr 1957; Auf der Dekade-Ausstellung in St. In Moskau, im Jahr 1958; Auf der Ausstellung „Das Ausland mit den Augen eines jungen Künstlers“ in Moskau, 1961; Auf der Jugendausstellung in Moskau 1962... Ich bin seit 1945 Mitglied des Komsomol... Seit 1960 Mitglied des Künstlerverbandes der Sowjetunion. Mitglied der Theatergesellschaft der Georgischen SSR seit 1959 ... Tseradze V.N. 5.V.62 St. Tiflis.“

So schuf ein sehr junger Künstler, der 1956 sein Studium an der Fakultät für Malerei der Tifliser Kunstakademie abgeschlossen hatte, 1957 sein erstes Stück am Theaterinstitut: „Soldatenherz“ von S. Evlakhov (1957, Regie: Ak. Khorava). Seitdem ist Givi Tseradze seit 22 Jahren der Dekorateur und Künstler des Instituts. Die Universität bewahrt Skizzen für drei Dutzend Aufführungen auf, die von Givi Tseradze am Theaterinstitut konzipiert wurden. Die meisten davon wurden zwischen 1958 und 1960 hergestellt. Diese Leistungen sind: a. Tsagarelis „Der Sibirier“ (1958), Molieres „Der Doktor“ (1958), A. Cronins „Jupiter lacht“ (1958), M. Sebastians „Namenloser Stern“ (1958), V. Hugos „Angelo“ (1958), J. Priestleys „Treasure“ (1958), A. Zhers „The Sixth Floor“ (1958), A. Tschechows „Der Bär“ (1959), A. Tseretelis „Butiaoba“ (1959), M. Gorkis „Der alte Mann“ (1959), A. Frances' „Die dumme Frau“ (1959), S. Calderons „Liebe ist kein Witz“ (1960), V. Rozovs „Auf der Suche nach Freude“ (1959), H. Ibsens „Gespenster“ (1959), J. Priestleys „Die Zeit und die Familie Conway“ (1959), A. Ostrowskis „Der Unschuldige“ (1959), A. Millers „Hexenjagd“ (1960), S. Mérimees „Himmel und Hölle“ (1960), A. Tschechows „Die Möwe“ (1960), E. Scribes „Ein Glas Wasser“ (1960), O. Chijavadzes „Tkhunela/ Maulwurf“ (1960), A. Shiukashvilis „Der Narr“ (1960), A. Arbuzovs „Es geschah in Irkutsk“ (1962) und andere. Givi Tseradze arbeitete am Theaterinstitut mit Regisseuren und Schauspielern verschiedener Generationen und Stile. Unter ihnen sind: Mikheil Tumanishvili, Akaki Vasadze, Akaki Khorava, Dimitri Aleksidze, Lili Ioseliani, Anton Tavzarashvili, Giorgi Ghviniashvili, Akaki Paghava, Yuri Kakulia, Shalva Gatserelia, Teimurz Abashidze, Levan Mirtskhulava, Kukuri Pataridze, Givi Sarchimelidze, Aleksandre Mikeladze, Nugzar Gachava, Medea Kuchukhidze, Shota Meskhi, Konstantine Surmava, David Kobakhidze, Anzor Kutatelaze. Givi Tseradze ist der Autor einer der herausragendsten Aufführungen des Tumanishvili

Film Actors' Theater, D. Die Szenografie von Kldiashvilis „Bakula's Pigs", das 1978 am Theaterinstitut uraufgeführt wurde. Es handelte sich um eine Kursaufführung für die Studierenden im dritten Studienjahr der Fakultät für Schauspiel und Regie, Regisseur M. Tumanischwili. Im selben Jahr wurde auch eine Theaterwerkstatt – das Film Actors' Theater – eröffnet. „Bakulas Schweine", aufgeführt am Theaterinstitut, sind noch immer im Repertoire des Tumanishvili-Theaters.

Das vielfältige kreative Erbe von Givi Tseradze ist Gegenstand einer separaten Studie. Sein bedeutendster Teil ist das Theaterinstitut, wo insbesondere in den 1960er Jahren die meisten Aufführungen von G. inszeniert wurden. Die Inszenierung stammt von Tseradze. Zusätzlich,Von 1961 bis 1974 war er Chefkünstler des Russischen Theaters für junge Zuschauer in Tiflis. C. Tseradze konzipierte Aufführungen für die Theater Marjanishvili und Griboedov sowie für die Theater Batumi, Rustavi, Zchinwali und Riga für junge Zuschauer. Er unterrichtete Malerei an der Fakultät für Kunstgeschichte der Staatlichen Universität Tiflis (1969–1975). Gleichzeitig nahm er aktiv an Ausstellungen in Tiflis, Moskau, Leningrad, Kiew, Riga, Tallinn, Berlin, München, Bratislava und Prag teil. 1967 wurde Givi Tseradze der Titel „Verdienter Künstler Georgiens" verliehen. Dass Givi Tseradze ein äußerst produktiver Künstler ist, zeigt sich nicht nur an der Zahl seiner Performances, sondern auch an der Zahl seiner Einzel- und Gruppenausstellungen. Givi Tseradze starb 1987 im Alter von 55 Jahren. Zwei Jahre nach dem Tod des Künstlers, im Jahr 1989, fand in Tiflis eine Einzelausstellung von Givi Tseradze statt, die das gesamte Spektrum des kreativen Erbes des Künstlers präsentierte: Malerei, Grafik, Theater- und dekorative Kunst. Auch hinsichtlich der Genres – Landschaft, Porträt, Stillleben – war es vielfältig. Die Mehrzahl der in der Ausstellung gezeigten Skizzen stammte aus Aufführungen des Theaterinstituts. Givi Tseradzes Gelehrsamkeit, Bildung, sein feiner Geschmack und sein künstlerisches Talent kamen in der Bühnengestaltung besonders gut zum Ausdruck. Viele seiner Inszenierungen wurden mit verschiedenen Preisen ausgezeichnet und fanden Anerkennung. Givi Tseradze hat die Geschichte des Theaterinstituts maßgeblich geprägt. Er gehört zu jenen Schöpfern und Lehrern, die nicht nur die Tradition des Theaterinstituts fortführten und eine wichtige Rolle bei der beruflichen Ausbildung junger Schöpfer spielten, sondern auch eine solide Grundlage für dessen weiteres Wachstum und Entwicklung schufen. Das Ziel dieser Arbeit bestand darin, die Szenografie der Aufführungen am Givi Tseradze Theaterinstitut zu untersuchen, basierend auf der Untersuchung und Zuordnung von Skizzen, die an der Shota Rustaveli State University of Theater and Cinema of Georgia aufbewahrt werden. Das Werk dieses äußerst talentierten und vielseitigen Künstlers (Staffelei, Grafik, Theater- und Kunstgewerbe, Animation) ist jedoch Gegenstand einer umfassenderen monografischen Studie, um das kreative Erbe von Givi Tseradze und seine Rolle in der Geschichte der georgischen Malerei des 20. Jahrhunderts angemessen zu bewerten.Zwei Jahre nach dem Tod des Künstlers, im Jahr 1989, fand in Tiflis eine Einzelausstellung von Givi Tseradze statt, die das gesamte

Spektrum des kreativen Erbes des Künstlers präsentierte: Malerei, Grafik, Theater- und dekorative Kunst. Auch hinsichtlich der Genres – Landschaft, Porträt, Stillleben – war es vielfältig. Die Mehrzahl der in der Ausstellung gezeigten Skizzen stammte aus Aufführungen des Theaterinstituts. Givi Tseradzes Gelehrsamkeit, Bildung, sein feiner Geschmack und sein künstlerisches Talent kamen in der Bühnengestaltung besonders gut zum Ausdruck. Viele seiner Inszenierungen wurden mit verschiedenen Preisen ausgezeichnet und fanden Anerkennung. Givi Tseradze hat die Geschichte des Theaterinstituts maßgeblich geprägt. Er gehört zu jenen Schöpfern und Lehrern, die nicht nur die Tradition des Theaterinstituts fortführten und eine wichtige Rolle bei der beruflichen Ausbildung junger Schöpfer spielten, sondern auch eine solide Grundlage für dessen weiteres Wachstum und Entwicklung schufen.

Das Ziel dieser Arbeit bestand darin, die Szenografie der Aufführungen am Givi Tseradze Theaterinstitut zu untersuchen, basierend auf der Untersuchung und Zuordnung von Skizzen, die an der Shota Rustaveli State University of Theater and Cinema of Georgia aufbewahrt werden. Das Werk dieses äußerst talentierten und vielseitigen Künstlers (Staffelei, Grafik, Theater- und Kunstgewerbe, Animation) ist jedoch Gegenstand einer umfassenderen monografischen Studie, um das kreative Erbe von Givi Tseradze und seine Rolle in der Geschichte der georgischen Malerei des 20. Jahrhunderts angemessen zu bewerten.Zwei Jahre nach dem Tod des Künstlers, im Jahr 1989, fand in Tiflis eine Einzelausstellung von Givi Tseradze statt, die das gesamte Spektrum des kreativen Erbes des Künstlers präsentierte: Malerei, Grafik, Theater- und dekorative Kunst. Auch hinsichtlich der Genres – Landschaft, Porträt, Stillleben – war es vielfältig. Die Mehrzahl der in der Ausstellung gezeigten Skizzen stammte aus Aufführungen des Theaterinstituts. Givi Tseradzes Gelehrsamkeit, Bildung, sein feiner Geschmack und sein künstlerisches Talent kamen in der Bühnengestaltung besonders gut zum Ausdruck. Viele seiner Inszenierungen wurden mit verschiedenen Preisen ausgezeichnet und fanden Anerkennung. Givi Tseradze hat die Geschichte des Theaterinstituts maßgeblich geprägt. Er gehört zu jenen Schöpfern und Lehrern, die nicht nur die Tradition des Theaterinstituts fortführten und eine wichtige Rolle bei der beruflichen Ausbildung junger Schöpfer spielten, sondern auch eine solide Grundlage für dessen weiteres Wachstum und Entwicklung schufen. Das Ziel dieser Arbeit bestand darin, die Szenografie der Aufführungen am Givi Tseradze Theaterinstitut zu untersuchen, basierend auf der Untersuchung und Zuordnung von Skizzen, die an der Shota Rustaveli Staatlichen Universität für Theater and Film Georgiens aufbewahrt werden. Das Werk dieses äußerst talentierten und vielseitigen Künstlers (Staffelei, Grafik, Theater- und Kunstgewerbe, Animation) ist jedoch Gegenstand einer umfassenderen monografischen Studie, um das kreative Erbe von Givi Tseradze und seine Rolle in der Geschichte der georgischen Malerei des 20. Jahrhunderts gebührend einzuschätzen.